ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 10 (1384)

28 აპრილი, 1994 წ.

ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხება...

საქართველოს სამეფოს მოშლის და დაპყრობის სურვილი რუსეთში პირველად პეტრე დიდს აღეძრა, ამიტომაც მან საშინელის ბოროტებით მოატყუილა ვახტანგ VI. ამ სვავის წყალობით ქართველობას მოაკლდა 5 000 კაცი რუსეთში გადასახლებით, 10 000 კაცი მტერთან ბრძოლაში, ამის გარდა რუსეთში გადასახლებულ ქართველებმა თან წაიღეს 60 ურემი ძველი ნივთები: ოქრო, ვერცხლი, ქართული ძველი წიგნები და სხვაც ბევრი ასეთი.

ეს ბოროტება მაინც არ აკმარეს ქართველებს და პეტრე დიდის შემდეგ ელისაბედ იმპერატრიცამ მოატყუილა თეიმურაზ II და 1761 წ. ეს [illegible]ვე რუსეთში მიიწვია, რამაც საქართველოს სასტიკად აუშალა ოსმალ-სპარსელები.

საქართველოს სამეფოს მოშლის საქმეს ყველაზე კარგად კბილები ჩასჭიდა ეკატერინე მეორემ, ეს ჯერ ერეკლე მეფეს დაუმეგობრდა და მის მერე მიეცა ფიქრებს, თუ საქართველო როგორ ჩაეგდო ხელში. მას საქართველოს შიგნით გამცემ მტრებმა ამცნეს, რომ ვიდრე თქვენ მეფე ერეკლეს ქართულ მხედრობას არ გაუწყვეტთ და სამხედრო ძალას არ მოუსპობთ, მანამ საქართველოს ხელში ვერ ჩაიგდებთო.

ამიტომ ეკატერინემ მეფე ერეკლეს კარზე მოსატყუებლად გამოგზავნა თავის გენერალი ტოტლებენი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყუილა, ოსმალებზე აშალა და ასპინძასთან ომიც მოხდა, რასაც ქართველნი „ასპინძის ომს“ უწოდებენ. ამ ომში ქართველთ დიდი ხალხის რიცხვი გაუწყდათ. მაგრამ მაინც ეკატერინემ წადილი ვერ შეასრულა, მეფე ერეკლეს საქართველო ვერ დასცინცლა.

ამის შემდეგ, მანვე მეფე ერეკლეს ბოდიშის სათქმელად და მასზედ, რომ თქვენის წყენისა და მოტყუილებისათვის, მე ტოტლებენი გავკიცხე და დავსაჯეო, გერმანელი აკადემიკი ანტონ ღულდენშტეტი გამოუგზავნა. მცირე ხანს შემდეგ ეკატერინემ კვლავ დაიწყო ბოროტი მოქმედებები.

მეფე ერეკლეს მალე გამოუგზავნა ახლა თავის ერთი სხვა გენერალი, გვარად ლვოვი, რომელმაც თავს იდვა მეფე ერეკლეს მოტყუილება და ამით ქართველი ჯარის მოსპობა, მაგრამ ვერც მან მოაწყო ეს ბოროტება. თუმცა, ქართლის მეფე იმერეთის მეფეს სასტიკად გადაჰკიდა, იგი თბილისიდან იმერეთში გაემგზავრა და იქ დაიწყო მოქმედება ბოროტად, რომ რაკი ერეკლე მეფე ვერ მოვატყუილეთ, ეხლა იქნებ სოლომონი მაინც ჩავიგდოთ ხელშიო.

მცირე ხანს შემდეგ მან ქართველებს ახლა სხვა მტერი გამოუგზავნა მოსატყუებლად, ეს იყო გენერალი სეხოტინი.

გენერალი სუხოტინიც იმავე პოლიტიკით მოვიდა საქართველოში, როგორც ტოტლებენი და ლვოვი. მაგრამ ვერც ამან გააწყო რამე, მეფე ერეკლე ვერ აიყოლია, საქართველო ვერ დასცინცლა. ამიტომ ეს ბოროტი იმერეთში წავიდა და ფიქრობდა სოლომონ მეფის მოტყუილებას იქ; მართლაც, მან მოახერხა და საწადელს მისწვდა. გონიერი სოლომონი მოხიბლა, აიყოლია. 30 000 იმერეთის ჯარი დასტყუა და პირობა მისცა მეფეს, რომ მე თქვენი და რუსის ჯარით ფოთში ოსმალებს დავამარცხებ და განვდევნიო. მეფეც ენდო მას, ჯარი მისცა, სუხოტინი წავიდა ფოთში, და იმერეთის ჯარი სულ გასწყვიტა და ვერც ოსმალები განდევნა. მერე რუსის ჯარით უკან დაბრუნდა და ამგვარად იმერეთის მეფეს გაუწყვიტა

• დასასრული მე-3 გვ.

გაგრძელება.
დასწყისი იხ. „საქართველო“ № 9

ნოემერშია:

SOS!
უბედურება
სერგო ჯანაშია
მეორე გვერდი

მოპარული თავისუფლება!
ანუ ვაჟა-ფშაველა «სნგ»-ს მომხრეებისა
და «რუსეთუმეების» შესახებ
მესამე გვერდი

დავუთმოთ ასპარეზი
ახალ თაობას
ომარ ჯანელიძე
მეშვიდე გვერდი

მეანაბარეთა საყურადღებოდ!

ვგონებთ ეს ბანკი კაი რამეს გპირდებათ

რედაქციაში მოგვაწოდეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ამა წლის 25 მარტის ბრძანებულების შესაბამისად რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის საპაიო კომერციულ შემნახველ ბანკად გარდაქმნასთან დაკავშირებით რეორგანიზაციის ცენტრალური კომისია აცხადებს მეანაბრეების მეპაიე დამფუძნებლად მიღებას, ამასთან მეპაიე დამფუძნებლად მიიღებიან მეანაბრეები, ვისაც ანაბარზე თანხები ჰქონდათ 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. კომისია თხოვნით მიმართავს ყველა მეანაბრეს. ა. წლის 20 აპრილიდან 20 მაისამდე მიაკითხონ შემნახველი ბანკის იმ დაწესებულებას, სადაც გახსნილი აქვთ ანაბარი. იჩქარეთ, არ დაკარგოთ შანსი გახდეთ რესპუბლიკაში ყველაზე დიდი საპაიო კომერციული ბანკის დამფუძნებელი.

ღია საფლავები

5 იანვარი, 1993 წელი

ადრე დილით ჭიშკართან რომანმა ჩამოიარა. მისი სახლი პირველი საგუშაგოდან სულ რაღაც ორმოციოდე მეტრითაა დაშორებული. მომესალმა, ახალი წელი მივულოცე, ამბავი ისე მომჭირნედ ვკითხე, თითქოს თბილისში გვენახოს ერთმანეთი, არადა კარის მეზობელია. როგორაა საქმე, აფხაზები შეტევას ხომ არ აპირებენ-მეთქი... ნეტავ ისე მოხდებოდეს, რომ შემოგვიტევდნენ, მეც ის მინდაო. ცოტა არ იყოს გამიკვირდა პასუხი, და ისევ კვითხე: „რატომ-მეთქი“, რატომ და მომბეზრდა ამდენი ლოდინიო, ჯავრი უნდა ვიყაროო. არ გაეწბილება, გავავრებულია კაცი. ამას წინათ ძმისშვილი მოუკლეს, ავთოს ბიძაა. „ყველაფერი ფრონტისათვის“ (მაგონდება დიდი სამამულო ომის ლოზუნგი); მაშინ მობილიზაცია იყო ცხენების, ჯორების, ვირების, ურმებისაც კი, ნუ გაგიკვირდებათ, რომ დიდხანს იყო შემორჩენილი ხუმრობა: კავკასიაში ომი ვირებმა მოიგესო, ეს სინამდვილესთან ახლო იყო. იქ, იმ წარაფ უულტეხილებზე ვერც ტექნიკა მოძრაობდა და ვერც ცხენები. ყველგან მავალი ჯორებითა და ვირებით მწვერვალებზე ჰქონდა დაშლილი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ტყვია-წამალი.

„ყველაფერი ფრონტისათვის“ ამისათვის რაღაც მაინც შესრულდა დღეს ჩვენი ბიჭების წამოწყებით. ეს წამოწყება კი ასეთია: წინასწარ გააფრთხილეს სოფლის მოსახლეობა, რომ მოკრეფდნენ და მოამზადებდნენ ორმოცდაათ-ორმოცდაათ კილოგრამ მანდარინს. ბაბრთლაც ასე მოხდა. დღეს ეშარის ავტოფურგონს ჩამოიარა. ბაბრომ პირველად მე მომაყენა მანქანა და მითხრა, აბა, მაგალითი აჩვენე სხვასო, მეც უსიტყვოდ შევასრულე ბრძანება, გამოწნდნენ ისეთებიც, რომლებმაც არ ინდომეს მანდარინის მიცემა, მიზეზებს რა გამოლევს, ასეთ ხალხს მართლაც არ ედგომება სოფელში. ძალიან კი გამოამჟღავნეს თავი. ალბათ დადგება დრო და ისინიც ინანებენ ასეთ საქციელს. ბიჭებმა მოაგროვეს მანდარინი, წაიღეს და საკონსერვო ქარხანას ჩააბარეს. აღებული ფულით განწრახული აქვს შეიძინონ საწვავი ფრონტის საჭიროებისათვის, დეხმარონ მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახებს. ნამდვილად კარგი წამოწყებაა, მაგრამ ძალიან ცოტაა, ფრონტის საჭიროებისათვის და

გაგრძელება, დასაწყისი
იხ. „საქართველო“ № 7,8,9

გაგრძელება მე-8 გვ.

SOS!

უბედურება

ამ ერთი კვირის უკან ზუგდიდში გახლდით, თანაც იმ სოფელში, რომელიც ესაზღვრება გალის რაიონს და მხოლოდ ენგური ჰყოფს ამ უკანასკნელიდან. სანამ საკუთარი თვალით არ ვიხილე, მანამდე არ მეჯერა, რომ ჩვენს მხარეს ზუგდიდ-გალის საზღვარი მართლაც დაუცველია.

იქით მხარეს კი, ენგურსგაღმა, სადაც აფხაზური პოზიციებია და როგორც ამბობენ, სომხების რაზმებია განლანგებული, იცოცხლეთ, აფხაზ-სომეხ ბოევიკებს ისეთი თავდაცვითი ზღუდეები გაუკეთებიათ, ისეთი უზარმაზარი თხრილები ამოუთხრიათ ექსკავატორით მთელი საზღვრის გაყოლებაზე, რომ აქაურები მარწმუნებენ, ტანკიც ვერ გადავაო. ყოველ სამას თუ ხუთას მეტრში სათვალთვალო კოშკებიც განულაგებიათ და დღედაღამ აქეთ იყურებიან, აქაურობას ზვერავენო. ამის დასტურად ასეთი ამბავიც მიამბეს: ერთი სოფლის განაპირა სახლიდან, რომელიც მაღლობზე დგას, ხელისგულივით მოსჩანს მდინარე ენგურის ორივე ნაპირი და აფხაზთა თავდაცვითი ზღუდეებიც. ერთ აქაურ თუ ჩამოსულ, არასამხედრო კაცს, ცნობისმოყვარეობამ სძლია თურმე და ბინოკლით დაუწყია აფხაზთა პოზიციების თვალიერება. არ გასულა წუთიც კი, რომ აფხაზთა მხრიდან სეტყვასავით წამოსულა ტყვიები და ეს კაცი ბეწვზე გადარჩაო. ეს მაგალითი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზებს ჩვენსავით ყურზე არ სძინავთ და საკუთარ „მონაპოვარს“ გულმოდგინედ დარაჯობენ.

განსაკუთრებით შემაშფოთა და შემზარა იმ ამბავმა, რომ როგორც აქ ამბობენ, საზღვრის იქითა მხარეს თითქოს ყოველდღე ოცი-ოცდაათი კაცი, უფრო გალელი ლტოლვილი, გადადის და იქაურ „მოქალაქეობასაც“ იღებს თურმე და ბევრი მათგანი აფხაზადაც ეწერებაო. კიდევ უფრო შემაშფოთა იმან, რომ აქ ირწმუნებიან, აფხაზები ამ ადამიანებს საკუთარ მიწაზე იმ პირობით აბრუნებენ თურმე, თუ ისინი აფხაზად ან, თქვენ წარმოიდგინეთ, მეგრელად ჩაეწერებიან. ყველა მეგრეული წარმომავლობის ქართველს იმას უკიჟინებენო, რომ თქვენ, მეგრელები, სხვანი ხართ, რა გინდათ ამ ქართველებთან, რა დაგკარგვიათო. მათს ამ „ზრუნვაში“ მეგრელების მიმართ რაც დევს, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

აფხაზები რომ თავის საქმეს აკეთებენ, ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ ვის საქმეს აკეთებენ ის ლტოლვილები, რომლებიც რჯულის, ეროვნების, სულის გაყიდვის ფასად ბრუნდებიან საკუთარ კარ-მიდამოში, თვითონვე თუ აქვთ გასიგრძეგანებული. მართალია, ამ ადამიანებს, ლტოლვილებს, დღეს ყველანაირად უჭირთ, შეიძლება ითქვას, თავზე აწვიმთ, შიათ, წყურიათ, სცივათ, მაგრამ მათი ამ საქციელის გამართლება არანაირად არ შეიძლება. ისინი თავიანთი ამ უგუნური (ღმერთმა ქნას, რომ შეგნებული არ იყოს) ნაბიჯით თავსაც და შთამომავლობასაც სწირავენ მარადიული მონობისათვის, ეროვნული მეობის დაკარგვისათვის, აფხაზ-სომეხ-კაზაკ და ღმერთმა უწყის, კიდევ რა ჯურის ავაზაკ-ბოევიკებთან გართქვეფისათვის. ესეც რომ არ იყოს, რა საბედისწერო სამსახურს გაუწევენ ისინი საკუთარ ქვეყანას ამ ნაბიჯით, ალბათ, არც უწყიან.

თუ დროზე არ მოხდა აფხაზეთის ქართველობის დაბრუნება საკუთარ მიწაზე, შეიძლება ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდეს და ქვეყნისთვის ტრაგიკული შედეგიც გამოიღოს.

სერგო ჯანაშია

ერთი პუბლიკაციის ისტორია

რა მნიშვნელობა აქვს აზრის გამოთქმას?

14 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით — „შეგქმნათ თავისუფალი ეკონომიკური ზონა“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „ბათუმი ხელსაყრელ გზაჯვარედინზეა“, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს პარლამენტის წევრი, საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ვიქტორ ლორთქიფანიძე და ეკონომისტი ეთერ ხანთაძე. წერილდში გატარებულია აზრი ბათუმის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად (თეზ-ად) გამოცხადების პერსპექტივაზე. ამ წერილს საინტერესო ისტორია აქვს და ვიდრე ამის შესახებ ვუამბობდეთ მკითხველს, მანამ მოკლედ ჩვენი აზრი თეზ-ის შესახებ.

გავიხსენოთ, რომ ერთი საუკუნით ადრე ბათუმში იყო თეზ-ის მსგავსი რამ ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების სახით, რამაც რვა წელი იარსება. მიუხედვად გარკვეული მოტანილი სიკეთისა, საქართველოსათვის ეს მოვლენა საბოლოოდ უარყოფითად იყო შეფასებული. 1920 წლის დასაწყისში ბათუმი კვლავ გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ, რასაც წინ აღუდგა ქართველი ხალოგადოება, კერძოდ, საქართველოს ხავაჭრო-სამრეწველო პალატამ ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ მიმართა საქართველოს მთავრობას ამ უსამართლო დადგენილების გასაუქმებლად. მთავრობაში გამოთქმული იყო შიში იმის თაობაზე, რომ პორტო-ფრანკოდ გამოცხადებით, ბათუმში გადავა საქართველოს ეკონომიკური ცენტრი, სადაც ბატონ-პატრონობა იქნება უცხოელთა ხელში; საქართველოს მოსახლეობა დაკარგავს საკუთარი ქალაქის თავისუფალი სარგებლობის უფლებას; უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-პორტის ბათუმის უცხოელთა ხელში გალასვლით, აქედან საქართველოში მომავალი კარები და ზღვები მუდამ გახსნილი იქნება (დაწვრ. იხ. „საუბარი „სამუსლიმანო საქართველო“, № 331, 1920. ვიმოწმებთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ სიხარულიძის გამოქვეყნებული მასალებით, „საუბარი „მეცნიერება“, ბათუმი, № 9, 1992).

ვფიქრობთ, რომ ეს საფრთხე გარკვეულწილად ახლაც არსებობს და საქართველოს ნებისმიერი ქალაქის თეზ-ის გამოცხადება სერიოზულ განსჯას, მრავალმხრივ და კომპეტენტურ დასკვნებს საჭიროებს. ამასთან, ეს საკითხი უნდა წყდებოდეს ქვეყნის შესაბამის ინსტანციებში და არა მისგან გვერდის ავლით უცხოეთის ფირმების მონაწილეობით...

ახლა ამ „ახალი“ პუბლიკაციის ისტორიაზე. 1990 წელს ბათუმში ხელნაწერის სახით გავრცელდა წერილი სათაურით — „თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოში“, რომელსაც ხელს აწერდა ბათუმის ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ეკონომიკური კვლევის დარგში ვიქტორ ლორთქიფანიძე. წერილში არსებითად საუბარი ეხებოდა აჭარის თეზ-ად გამოცხადების პერსპექტივებს.

ეს წერილი უფრო დახვეწილი ფორმითა და მცირეოდენი შემოკლებით გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ (18 სექტემბერი, 1990). წერილის გამოქვეყნებულ ვარიანტში ნაცვლად აჭარისა საუბარი ეხებოდა ბათუმის თეზ-ად გამოცხადებას და რაც მთავარია, ამოღებული იყო ავტორის მოსაზრება, რის თანახმადაც აჭარის თეზ-ად გამოცხადების შემთხვევაში საქართველო უნდა შეგუებოდა იმას, რომ ქობულეთის ფიჭვნარში უნდა გახსნილიყო სარფის მსგავსი საბაჟო, სადაც საქართველოს მოლაქაეები თეზ-იდან გამოსვლისას ბაუს გადაიხდიდნენ (ჯერჯერობით, საბაჟო არა, მაგრამ ამჟამად აქ უმკაცრესი გამშვები-საკონტროლო პუნქტი უკვე მოქმედებს).

წერილი, განსაკუთრებით კი მისი თავდაპირველი ვარიანტი განკერძოებისადმი აშკარა მიდრეკილებას ამჟღავნებდა, რაც გახდა ჩემი მკაცრი კრიტიკული გამოსვლის მიზეზი

დასასრული მე-3 გვ.

პრესკონფერენცია

მსოფლიო ბანკი 10 მილიონ დოლარს გვთავაზობს

საქართველოს ეკონომიკა დაცემის პირას რომ არის მისული, ყველას მოგვეხსენება, თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ ხშირია დელეგაციები საზღვარგარეთიდან, რომლებიც ასე თუ ისე ცდილობენ რაღაცით დაგვეხმარონ, რაღაცა გვიშველონ. სწორედ ამ მიზნით არიან ჩამოსულნი მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ვაფიკ გრეისი და ამავე ბანკის წარმომადგენელი კრის ჰოლი, რომლებმაც მიმდინარე წლის 15 აპრილს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრში, ქართველი ჟურანლისტებისათვის მოაწყვეს პრეს-კონფერენცია.

2 წელზე მეტია, რაც საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო ბანკში. ამ დღიდან იგი გახდა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის წევრი. აღნიშნული ასოციაცია გამოყოფს რესურსებს დახმარების სახით შეღავათიან ფასებში იმ ქვეყნებისათვის, ვისაც არ შეუძლია საბაზრო სესხის აღება, თუმცა რაც უფრო იაფია სესხი, მით უფრო შეზღუდულია იგი.

1992 წლის ზაფხულიდან დაიწყო მცდელობა განვითარებულიყო ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის. პირველი მცდელობა მიმართული იყო გარკვეული ჩარჩოს შექმნისაკენ. 1992 წელს საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიო ბანკის პირველი დელეგაცია. 1993 წლის ზაფხულში კი ჩვენი სტუმრების მხრიდან იყო სურვილი ჩვენთვის გამოეყოთ საინვესტიციო სესხი და გაეწიათ კონსულტაციები ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ საქართველოში არსებულმა სიძნელეებმა არ მისცეს მათ საშუალება ურთიერთშორის თანამშრომლობისა და დახმარების აღმოსაჩენად.

როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პირველ რიგში საქართველოში არსებული საინვესტიციო ინსტიტუტები უნდა გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. როგორც ვაფიკ გრეისმა ბრძანა, მათი ჩამოსვლის მისიაა — პრივატიზაციის საკითხებზე, ფინანსურ სექტორზე, საგადასახადო სისტემაზე, საბაჟო საზღვრისა და სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა. ჩვენ ვიკვლევთ შესაძლებლობებს დანარჩენ სფეროებშიც — პრიორიტეტის გამოკვეთისათვის. ჩვენ გვქონდა საუბრები საქართველოს მთავრობასთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა პრიორიტეტი — ბრძანა ბ-ნმა ვაფიკმ — ერთადერთი, რაშიც უნდა დარწმუნდეთ, ეს არის ის, რომ ჩვენს მიერ გაცემული ნებისმიერი სესხი ნაყოფიერად და დანიშნულებისამებრ უნდა იქნეს გამოყენებული. ამისათვის კი საჭირო შეიქმნას სამთავრობო ჯგუფი, რომელიც პასუხს აგებს ამ ოპერაციების გატარებისათვის. ჩვენი ჯგუფი სანდვრავს, თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ.

თუ ჩვენი მთავრობა განახორციელებს ძირეულ რეფორმებს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სექტორებში — ვაფიკ გრეისი შეგვპირდა დახმარებებს საგადასახადო ბალანსის შექმნაში. ყველა ამ ინსტიტუტის შექმნა ხელს შეუწყობს მსოფლიო ბანკში შემავალი წევრების სრულუფლებიან ურთიერთობასა და განვითარებას. საქართველოს წინაშე დგას სიძნელე — აშენდეს ახალი ინსტიტუტები, რომლებიც უხელმძღვანელებენ და გაუძღვებიან დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკას.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს საბოუჯეტო საკითხზე და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო და გაცვლითი პოლიტიკა ერთ კომპლექსში უნდა იქნეს განხილული, რადგანაც ისინი ერთად ქმნიან მაკროეკონომიკას. ითქვა, რომ დღეს საქართველო ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან სახელმწიფოს აქვს ვალდებულებები და არა აქვს შემოსავალი. საქართველოს სურს ისარგებლოს რაიმე სიკეთით, თუმცა არა აქვს სურვილი და შესაძლებლობა გადაიხადოს გადასახადი.

ბ-ნმა კრის ჰოლმა კერძო სექტორთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს სფერო ვერ იმოქმედებს, თუ არ არის ამისათვის შექმნილი მყარი ნიადაგი. მესაკუთრე დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ თავისი წარმოებული ნედლეული დაუბრუნდება მოგების სახით, რისთვისაც უპირველესად საჭიროა სამი რამ: 1. მშვიდობა, რადგანაც ომის პერიოდში ხალხი ივსტირებას არ მიეხდენს.

2. ეკონომიკური ინფლაციის დარეგულირება.

3. საბაზრო ეკონომიკა უნდა იყოს ნათელი და სტაბილური.

ხალხს უნდა იცოდეს [illegible] თამაშის წესები, რის თამაშშიც [illegible] აპირებენ — ბრძანა ბატონმა გრეისმა.

მანვე აღნიშნა, რომ მათი დანიშნულებაა საქართველოს ეკონომიკის დახმარება, განვითარება და პირობების შექმნა, რათა ჩვენი ეს სფერო იყოს კონკურენტუნარიანი, რაც შეუძლებელია კერძო სექტორის განვითარებასა და დახმარების გარეშე. თუმცა კერძო სექტორისათვის მარტო ბიზნესი არ არის საკმარისი. უპირველესია, სოციალური საკითხების რეგულირება და გარემო. ჩვენ ისე უნდა ვაწარმოოთ პროდუქცია, რომ ბუნება არ ვაზიანოთ.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, ურჩევენ თუ არა ამერიკელი კოლეგები ქართველ ხალხს სამანეთო ზონაში შესვლას, ბ-ნმა გრეისმა ბრძანა, ჩვენ ვერც გიბიძგებთ მისკენ და ვერც ხელს შეგიშლით, რადგან ეს თქვენზეა დამოკიდებული. სამანეთო ზონა არის მონეტარული კავშირი. თუ თქვენ ხართ ასეთ კავშირში, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მმართველი წრეები ვერ გააკონტროლებენ მონეტარულ ინსტრუმენტებს, რადგანაც იგი უკვე მოხდება თვითონ მონეტარულ კავშირში.

ბოლოს, ბ-ნმა გრეისმა ბრძანა, რომ მსოფლიო ბანკს გადაწყვეტილი აქვს საქართველოს სესხის სახით დახმარება გაუწიოს და გამოუყოს 10 მილიონი დოლარი ივნისის ბოლოთვის, რომელიც 30 წელიწადში უნდა გადაიხადოს — მცირე პროცენტულ დანამატით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თქვენი ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება პირველი 10 წელი პროცენტულ გადასახადისაგან იგი თავისუფლდებაო — აღნიშნა ბ-ნმა ვაფიკმ..

ირმა ლომაური

ბარაბანი დაჰპრეს, საქართველო იმარხება...

ზაქარია ჭიჭინაძე

პირველ გვერდიდან

30 000 ჯარისკაცი, მერე კი თვითონაც რუსეთში გიპარა ჩუმად. ეკატერინეს მაინც ვერც ახლა ეშველა რამე, ვერც ერეკლე მეფე ჩაიგდო ხელში და ვერც სოლომონ იმერთა მეფე.

ამის შემდეგ მოხდა მხოლოდ ის, რომ 1783 წ. მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა. ეს იყო ეკატერინეს დამამშვიდებელი ნაბიჯი. ამან იფიქრა: დღეს ეს იყოს, მერე სხვა იქნებაო. მას მოთმინება აღარ მიეცა და რამდენიმე ხნის შემდეგ, ერეკლე და სოლომონ მეფის მოსატყუებლად გამოგზავნა გენერალი ბურნაშევი.

ეს ბოროტი გენერალი ერეკლე მეფის წინაშე დატრიალდა, ერეკლე აიყოლია და 32 000 კაცი დასტყუა, ამ ჯარს მეფემ თან გააყოლა 8000 ურემი თავის ხარ-კამეჩით და სურსათით. გენერალმა ეს ქართველნი ბაბახანის ბრძოლაში, განჯაში გაწყვიტა. მაინც ვერც ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ეკატერინეს სურდა — არც ერეკლემ, არც სოლომონ მეფემ ეკატერინეს შეერთება არ სთხოვეს.

ამის შემდეგ ეკატერინემ თვისი პოლიტიკა შესცვალა და ახლა იგი სულ სხვა გზას დაადგა. ამ ბოროტებაში დიდ დახმარებას და გეგმას აძლევდა გენერალი პოტიომკინი. ამასაც მოგახსენებთ მოკლედ: რაკი პირდაპირი მოტყუილებით არ იქმნა და საქართველო ვერ დაიმორჩილეს, ახლა მათ აი, რა ხერხს მიმართეს: ლინიაზედ მყოფის გენერალ ღუდოვიჩის და პოტიომკინის ოსტატობით მოახერხეს და მოაწყეს ის, რომ მეფე ერეკლეს აუტეხეს და შემოუსიეს სპარსეთის დესპოტი აღა მახმად ხანი.

აღა მაჰმად ხანს მისცეს დიდი დახმარება ზარბაზნებით, თოფებით და 1795 წელს ეს მტერი ქურდულად შემოესია საქართველოს.

ამ დროს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო შესული; რუსნი ვალდებულნი იყვნენ, რომ ქართველებს ჯარით დახმარებოდნენ.

მეფე ერეკლემ ეკატერინეს დახმარებისათვის მიმართა, შველა სთხოვა ჯარით, ეკატერინესაგანაც პირობა მოუვიდა, მაგრამ მოატყუეს, ღუდოვიჩმა იყალბა და ჯარი დააგვიანა, არ მოაშველა, მტერს ხელი არ შეუშალა თბილისის აკლებასა და დამხობაში.

ამგვარად, 1795 წელს რომანოვების ბოროტი პოლიტიკის წყალობით თბილისი იქმნა მოსპობილი და აოხრებული ისე, რომ 120 ათას მცხოვრებთაგან თბილისს შერჩა მხოლოდ 70 000 სული. ეს რიცხვი გამოჩნდა თბილისში 1796 წ. ეკატერინეს იმედი ჰქონდა, რომ რაკი სპარსელებს ავაკლებინებთ საქართველოს, მის შემდეგ იგი ჩვენ ულაპარაკოდ შემოგვიერთდებაო. მაგრამ არ იქნა, მოლოდინი ვერ შეუსრულდათ.

ამ დროს ღუდოვიჩმა აირჩია შემდეგი ეშმაკობა:

საქართველოს მეფეს ეხლა ჯარი აღარ ჰყავს. შახი თუ ეხლა საქართველოს მეორედ დაეცა, ეხლა კი ისეც დაქცეულ საქართველოს ისე აიკლებს, რომ მას შემდეგ ქართველებს მეტი გზა არ ექნებათ, ჩვენ შემოგვიერთდებიანო. ეს გეგმა ყველას მოეწონა და ისინი მალე შეუდგნენ საქმის შესრულებას; მალე აღა-მაჰმად-ხანი ნახეს, მისცეს დიდი დახმარება, წინეთ, ანუ 1795 წ. თუ მტერი 30 ათასი კაცით მოვიდა, ეხლა იგი მოდიოდა 60 ათასი კაცით.

მართლაც ყეენი 1795 წ. დიდის სამზადისით წამოვიდა საქართველოს ასაკლებად. მტერმა თავის ჯარით შუბამდის მოაღწია, აქ დაიბანაკა, აქ ადგენდა საქართველოს ასაკლებად გეგმას, თუ როგორ უნდა შემოსეოდა და აეკლო ყველაფერი. მაგრამ ამას მან ვეღარ მიაღწია, რადგანაც შუბაში იგი თავის მსახურთაგან მოკლულ იქნა ერთ ღამეს; მკვლელი იყო ერთი ქართველი, მცხეთელი ანდრია, თათრობაში სახიდა და მეორე ბიჭი — ლეკი.

ყეენის მოკვლით საქართველოს ასცდა თავის უბედურება. მტრის ჯარი დაიშალა და უკან გაბრუნდა.

(ამ მეორედ შეთხზულ ამბავს ვრცლად არ ვწერ. აქედან ერთი წერილი გაზეთ „ჯარისკაცში" დაიბეჭდა და მეორე წერილი კი დარჩა დაუბეჭდავი დღემდე იმავე რედაქციაში). ამის შემდეგ ეკატერინეც მალე მოკვდა. მერე რუსეთის ახალმა სვავმა პავლემ საქართველოსადმი პოლიტიკა შესცვალა.

მალე მათ იშოვნეს მოხერხებული კაცები, რომელნიც ქართველებს კარგად იცნობდნენ. ამ კაცებმა იშოვნეს ქართველებში ქართველთა შინა გამცემი მტრები. მათ ესენი შეისყიდეს ფულით. ესენი იყვნენ გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალოვი და ელ. ფალავანდოვი. მათი შესყიდვით და დახმარებით მოახერხეს და დაიმეგობრეს თვით მეფე გიორგი, მერე ამ შესყიდულმა სამმა ქართველმა შეისყიდა კიდევ 12 სხვა ქართველი „ფულის კაცნი" და მხოლოდ მათი დახმარებით და ბოროტებით საქართველო ხელში ჩაიგდეს 1801 წელს მეფე გიორგის უნიჭობით.

ამის შემდეგ რუსის ბიუროკრატები მეესიენენ ქართველებს და ყოველი მხრიდან დაუწყეს მოსპობა და გადაგვარება.

რა მნიშვნელობა აქვს აზრის გამოთქმას?

მეორე გვერდიდან

(იხ. „კაბადონი-8", 23 იანვარი, 1991). ამ საკითხს დავუბრუნდი გასულ წელსაც (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 20 მარტი, 1993). ამის მიუხედავად, უკვე პარლამენტარმა ვ. ლორთქიფანიძემ ეს წერილი უცვლელად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე კვლავ გამოაქვეყნა (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 3 ივლისი, 1993). ეს გაუგებარი ქმედებაც კრიტიკულად შეკაფახე (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 11 სექტემბრი, 1993). გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც დაიწყო აშკარა პროპაგანდა ბათუმის თეზ-ად გამოცხადებაზე და ამ საქმეში ჩართული იქნენ უცხოეთის ფირმები, გაზეთ „საქართველოში (№ 3) მიმდინარე წლის თებერვლის თვეში გამოპაქვეყნე წერილი, სადაც საუბარი ეხებოდა საკითხის ისტორიას და ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული იყო 1920 წლის მარტის თვეში მიღებული საქართველოს სავაჭრო-საშრეწველო პალატის დადგენილების ტექსტი ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ვ. ლორთქიფანიძემ კვლავ დუმილი ამჯობინა. არავითარი ანგარიში არ გაუწია ამ გარემოებებს, სამაგიეროდ, წერილს შეუცვალა სათაური და დასაწყისი, ამოიღო თეზ-ის საქმიანობის გაკრცელებული ფორმების (სულ 11) მისეული ანალიზი და სხვა მხრივაც აბსოლუტურად იგივე წერილი, სხვა ხელის მომწერთან ერთად ყოველგვარი შენიშვნისა და კომენტარის გარეშე, მესამედ! გამოაქვეყნა ერთსა და იმავე — ქართულ ენაზე.

შევნიშნავ იმასაც, რომ აჭარის თეზ-ად გამოცხადებას ისახავდა მიზნად აჭარის უ. ხ. 1991 წლის 22 ოქტომბრის ხესიაზე გამოტანილი აჭარის კონსტიტუციის შესწორების საკითხი„ რაც მაშინ დეპუტატთა დიდი ნაწილის ძალისხმევით ვერ გავიდა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 მარტი, 1992).

ისტორიის გაუთვალისწინებლად და ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, უცხოეთის ფირმებთან აქტიური მოლაპარაკება ბათუმის თეზ-ად გამოცხადება საბოლოოდ რა მიზანს ისახავს საუბრის სხვა თემაა, თუმცა იგი სასწრაფოდ საჭიროებს ღრმა საფუძვლიან ანალიზსა და შეფასებას.

ვ. ლორთქიფანიძის ხსენებული წერილი ყოველთვის ერთნაირად — ამ საკითხზე სხვა ავტორების გამოხმაურების სურვილითა და მოლოდინით მთავრდება. მაგრამ რა აზრი აქვს გამოხმაურებას, თუკი ავტორი არ გაუწევს ანგარიშს მათში გამოთქმულ შენიშვნებს.

მინაწერი: ვერ ვიტყვით რა კაეშირი აქვს ამ პუბლიკაციაში გატარებულ პოზიციასთან ვ. ლორთქიფანიძის აღმასვლას, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ სწორედ ამ პოზიციის გამყლავნების მერე იგი ჯერ აჭარის უზენაესი საბჭოს მრჩეველი გახდა ეკონომიკურ საკითხებში, შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრი და ბოლოს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსი.

მიხეილ მახარაძე

მოპარული თავისუფლება!

ანუ ვაჟა-ფშაველა „სნგ"-ს მომხრეებისა და „რუსეთუმეების" შესახებ.

„თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი" ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა-რა სწამთ და არც რას დაიჯერებენ, გარდა „კოსმოპოლიტიზმისა". ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერი ვართ, თუ სხვა ერს არ შევუერთდით და „ჩვენობა" არ უარვყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით, ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ერცელი" შეხედულება აქვთ" („საახალწლო ფიქრები").

„... მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თვითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წარმომევა უფრო იმათ ენებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თვითონ იკრაო".

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივად და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ" („რა არის თავისუფლება?")

„ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს, ხვალ წიხლსა ჰკვრენ და დაშლიან. გუშინ ვისაც „ეაშას" მიუძღვნიდნენ, დღეს იმაზე „ჯვარს აცვითო", იძახიან. რატომ? მიტომ რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩახძახა.

ნუ გგონიათ ეს „ფიქრ მოსული" და ეს „ფიქრ ჩაძახებული", თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უშეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას" ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თვითონ ივარაუდეთ, რა აზრს შეიტუშავებს ამგვარი ინტელიგენცია თავისი ქვეყნის შესახებ ან რა გზას აირჩევს სავალად? იმათ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს, შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს, რადგანაც თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, ეიდრე თავისა. რა აზრი მოეთხოვება ამგვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა, — არ იცნობს მის გონებრივ აგებულობას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ, უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილს აზრს, მაშასადამე, ჩაძახებულ ფიქრს იმეორებს... აზრებშიაც გარჩევა როდი იციან: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი, საერო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ. ქაიხოსროს მეცხვარე სჭირდებაო და უსათუოდ მთელი საქართველოვ, უნდა თავსამტვრევად გაიხადო ეს საგანი — ხესია ურჩევნია ქაიხოსროს მწყემსად თუ ბესია?! ... თუ ქვეყნისათვის ზრუნავ, თუ გინდა საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო: ქაიხოსრო ქვეყანა არ არის და არც ხესია და ბესია წარმოადგენს საზოგადოებას. არც მწყემსობაა ისეთი შესანიშნავი და საძნელო რამ, მთელმა ქვეყანამ იმაზე იფიქროს.

სულ სხვა საქმეა პრეზიდენტად რომელი ავჯობებს, ხესია თუ ბესია. პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინ გინდა არ გამოდგება; იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს; თუ ერთი ამაოგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეხხირებოდეს საქვეყნო საქმეში. ანკი ვინ ჩახჩხირავს? ვინ დააყენებს მას ქვეყნის საქმეთა მმართველად და მესვეურად? თუ დააყენებენ, ისევ ფიქრ მოსულნი, ფიქრ ჩაძახებულნი და არა საკუთარს ჭკუით მოქმედი ხალხის კრებული. ამავე ფიქრ მოსულმა „ინტელიგენციამ" მოიგონა ვითომდა ახალი აზრი: მეზობელ ერთან კეთილი განწყობილება ვიქონიოთო. ერთი ჰკითხეთ, როდის არა ჰქონია საქართველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდან ან გაყლეტა?!. ჯერ ურიები, დევნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდნენ და ეს მეზობელი ერი ხომ დიდი ხანია რაც ჩვენ მეზობელია და ჩვენ იმისი. ხოლო მეზობლობას

დასასრული მე-8 გვ.

პოლემიკა

შევარდნაძის ხელისბიჭთა „ბჟუტური“

ელიზბარ ჯაველიძე

ბრაერთგზის მიფიქრია, რომ უგვანოთა და უღირსთ თავი არ უნდა გაუტოლო და მათ დონეზე არ უნდა დაეშვა-მეთქი. მართლაც, როცა შეიძლება ბულბულთა გალობას უსმინოს კაცმა, ჭაობის ბინადართა ყიყინს რატომ უნდა მიუგდო ყური?! მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო დამსგავსებია აშმორებულ გუბეს, სადაც გომბეშოთა გასკდომამდე ყიყინი ისმის ოდენ. ამიტომაც, ნებით თუ უნებლიეთ, ადამიანი იძულებულია ეს გულისწამღები გნიასი აღიქვას. დღეს ყველაფერი თავდაყირა რომ დგას, ალბათ, ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ვინმე აფთიაქარი ხ. სალუქაძე თურქული პოეტიკის პრობლემებზე მეკამათება, ვინმე თ. მირიანაშვილი ქართული ლიტერატურისა და „კაიკაცობის“ არსს მიხსნის, ხოლო პეტმარ (სახელს დააკვირდით!) აბაიშვილი — ჟურნალისტიკის და რედაქტორობის საიდუმლოებაში მარკვევს. ეს ყოველივე სასაცილოდ არ ეყოფოდა კაცს ადრე, როცა ზნეობა ზნეობდა და კაცი კაცობდა. ახლა კი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგანაც ამ წერილებში, როგორც სარკის ნატეხებში, არეკლილია ჩვენი სახოგადოებრივი ცხოვრების მორალურ-ინტელექტუალური რაობა, მით უმეტეს, რომ ჩემი ოპონენტები ე. წ. სახელმწიფო მეთაურის აპარატის აქტიური თანაშრომლები, შევარდნაძის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი არიან და, ცხადია, მათი „პოლიტიკური სიწყლული“ გარკვეულწილად სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსზეც ახდენს გავლენას. ჰოდა, სწორედ ამის გამოცაა, რომ უფსკრულისკენ მივეკანებით დღითიდღე კი არა — წუთიწუთს...

მკითხველი რომ არ დაიბნეს, უფრო კონკრეტულად მოვახსენებ სათქმელს. აშხ. ე. შევარდნაძისადმი გაგზავნილმა ჩემმა ღია წერილმა, რომლის გამოქვეყნება დაიწყო გაზეთმა „სარანგმა“, დიდი ალიაქთი გამოიწვია ე. წ. სახ. მეთაურის მიმდევართა ბანაკში. მილიციელ-პოლიციელთა უმალ ჩემს ბინაზე მიხტომასა და „სარანგის“ რედაქტორის დევნა-შევიწროებაზე რომ აღარაფერი ვთქვა, წერილის მეორე ნაწილი, სადაც მთავარი აზრია განვითებული, არც კი იყო დაბეჭდილი, რომ შევარდნაძის ხელისბიჭებმა, რა არის, ვინმემ არ დაგვასწროს „მამა-მარჩენლის“ გამოხარჩლებაო, „სეთურის მონებივით“ ქვების სროლა დამიწყეს. თანაც ერთმანეთს ეკიბრებიან, ვინ უფრო დაუნდობლად მესროლოს ლაფს. კი მაგრამ, თუ მართლაც ჭეშმარიტების გარკვევა სურდათ, ჯერ ბოლომდე მოესმინათ სათქმელი და მერე გამოედგოთ თავი. მაგრამ მათ ხომ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ — როგორმე დაიმსახურონ „მამა-მარჩენლის“ ეროგული ყმის სახელი. ამიტომაც ყველაფერს კადრულობენ: დემაგოგიას, სიცრუეს, ფარისეველობას და კიდევ ვინ მოთვლის, რას არა — მაგრამ უმწიფრობის გამო „სოფისტობა“ ვერ გამოდით და საკუთარი დანით იჭრიან ყელს. ცხინვალში დაბადებული და გაზრდილი მირიანაშვილის, თუ ამირანაშვილის თუ ოსიშვილის (რას გაიგებს კაცი?!) და პეტრე-მარიამის შობილის (პეტმარი ამას უნდა ნიშნავდეს) წერილებს რომ გაეცნობა ადამიანი (იხ.: „ანსი“, 10—17 მარტი, 1994 წ., „საქ. რესპუბლიკა“, 15 მარტი, 1994 წ.), ძალაუნებურად ფიქრობს, რომ მათ ავტორებს აკვანში წოლისას არტახები წელის ნაცვლად თავზე გადაუჭირეს, რამაც გარკვეულად ტრავმა მიაყენა მათ საგონებელ ორგანოებს. ახლა კი არსებული სიცარიელის ამოვსება ფარისეველობით მოპოვებული „ჩინ-მედლებით“ განუზრახავთ: ე. წ. სახელმწიფო მეთაურის მრჩეველისა და ე. წ. პარლამენტის პრესცენტრის მთავარი სპეციალისტების ტიტულით. მაგრამ ავიწყდებათ ერთი მარტივი რამ — სიცარიელე მხოლოდ ცოდნითა და განათლებით შეივსება და ვერავითარი „ჩინოსნობით“ მას ვერ დაფარავ.

ვისაც მოუცლია და მირიანაშვილის საპოლემიკო წერილებს გასცნობია, მისთვის ნათელია, რომ მოკამათე არ ცდილობს თავისი სათქმელის დასაბუთებას. ის სახელს შეუთითხნის კაცს, ვთქვათ, პატიოსანს უპატიოსნოს დაარქმევს და სრულიად არ ეანალიზება თავისი „ნაბჟუტარის“ დასაბუთება. ანდა, თუ კი ცდილობს რაღაც დამტკიცოს, მთლიანად დემაგოგიასა და სიცრუეს ეყრდნობა. ამის საუკეთესო ნიმუშია მისი პასკვილი, რომლითაც „მამა-მარჩენლის“ გათეთრებასა და ჩემს გაშავებას ლამობს. მაგრამ, რადგანაც მის გათეთრებას ვერ ახერხებს, ამიტომ ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მე ამომსვაროს ტალახში.

ცხინვალელი ინტელიგენტის მირიანაშვილის თქმით, ჩემი წერილი სავსეა „ყოველგვარ წრეგადასული, აშკარად ხულიგნური გამოთქმებით“ და გაჟღენთილია „პირდაპირ პათოლოგიური სიძულვილით“ წერილის ადრესატისადმი. ახლა იმის მტკიცება რომ დავიწყო, შევარდნაძე გულზე მეხატება-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ არც პათოლოგიურ სიძულვილს განვიცდი მისდამი, რადგანაც ასეთი რამ, სხვათაგან განსხვავებით, საერთოდ არ მახასიათებს. ისიც არ ვიცი, როგორ ესმით ცხინვალში „ხულიგნური გამოთქმები“. მე კი მირიანაშვილის „მამა-მარჩენლის“ ნაღვაწ-ნამოქმედარს რომ ვაანალიზებ, სხვა ეპითეტები არ მადგება ენაზე. შეიძლება ზოგჯერ გადავაჭარბე კიდეც, მაგრამ ეს სავსებით არ ცვლის საქმის არსს.

მირიანაშვილი, როგორც საერთოდ სწვევია მას, ვერ, ანდა არ გაერკვა ჩემი წერილის მთავარ თეზისში (ან კი როგორ გაერკვეოდა, როცა წერილი არ იყო სრულად დაბეჭდილი). ის „ბრალდებები“, რომელსაც მე კვეცენ ე. შევარდნაძეს, მარტივად ასე წარმოადგინა: თითქოს მე ვადანაშაულებ შევარდნაძეს იმის გამო, რომ ის იყო პარტიის წევრი და ფუნქციონერი. თურმე მისი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ იგი ქებით იხსენიებს კომპარტიას და მის ლიდერებს. დაბოლოს, კომუნისტების მბრძანებლობის ჟამს მოხდა ბევრი საშინელება, რაც, ჩემი აზრით, თურმე შევარდნაძის ბრალია. აი, ამ სამ თეზისამდე დაიყვანა ჩემი წერილი და მერე მოდგა მათ გაბაითლებას. სწორედ ასეთ კაცზე იტყვიან, თავად ჭრის და თავადვე კერავსო. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც ცხინვალელი ინტელიგენტის არგუმენტაცია ძალზე პრიმიტიულია. მისი აზრით, „კომპარტიის წევრობა თავისთავად არ არის დანაშაული“. თურმე ოდესღაც კომუნისტები ყოფილან „ჩვენი დროის საქართველოს ყველაზე დიდი გმირი - ტიული შარტავა და ჩვენი დროის ყველაზე დიდი მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილი“. მერმე ე. შევარდნაძეს „ბევრი საპური სიტყვა უთქამს იმპერიის ბელადებისათვის“, მაგრამ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველებიც, ერის

> **რედაქციისაგან:**
>
> ამ წერილის გამოქვეყნება, წინასწარ ვიცით, ჩვენს გაზეთს ბევრ უკმაყოფილოს შესძენს. მკითხველთა ნაწილს კი გაუხარდება. ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას — რომ არა ერთგულება დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლებისადმი, წინამდებარე სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით თავს შევიკავებდით...

მამებიც ხოტბას ასხამდნენ რუსეთის ხელისუფალთ. „განა ყველა ისინი მოღალატეები იყვნენ?!“ დაბოლოს, თურმე მე არავითარი იურიდიული საბუთი არ გამაჩნია, რომელიც ჩემ „ბრალდებებს“ გაამაგრებდა. როგორც იტყვიან, ქვას გახეთქავს მირიანაშვილის მსჯელობა. ჰოდა, ისიც, რადგანაც ფიქრობს, რომ ჩემი თეზისები გაანალიზა, მომიბრუნდა და ოსური თავმოპწონებით, სიმდის ცეკვისას რომ მზეურდება, პათეტიკურად დამისვა რამდენიმე მომაკვდინებელი კითხვა. კითხვების შინაარსი დაახლოებით ასეთია: 1. თუ ასე მძულდა კომუნისტები და დანაშაულად მიმაჩნდა პარტიის წევრობა, რატომ ვიყავი პარტიის წევრი. რატომ მივდიოდი ხშირად ცეკაში, რატომ ვებაკაცობდი ცკ-ს მდივნებთან. 2. თუ სამარცხვინოდ მიმაჩნდა კომპარტიის და მისი ლიდერების ხოტბა, რატომ იბეჭდებოდა „კრიტიკისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ყველა ნომერში ამდენი სახოტბო მასალა. პარტიაზე, მის ლიდერებზე, იმპერიაზეც. 3. როცა ვხედავდი ასეთ უსამართლობას, რატომ არ ვიმაღლებდი ხმას ამის გამო?!

ჩემი ღრმა რწმენით, ყოველივე ზემოთ მოხსმობილი ბავშვური ტიტინია და მთხზველიც მხოლოდ იმიტომ ქადაგებს ასე მარტივად, რომ იმედი აქვს, მისი წერილი უპასუხოდ დარჩება. მაგრამ ამჯერად იმედი უნდა გაუცრუო, და.. მისთვის საკადრის დონეზეც კუპასუხო.

ჯერ ერთი, მე არ ვადანაშაულებ შევარდნაძეს იმის გამო, რომ იგი ფუნქციონერი და კომუნისტი იყო. საწუხაროდ, ჩემი წერილი გვარიანად შემოკლებული დაიბეჭდა. სრულად რომ გამოქვეყნებულიყო, მირიანაშვილი მაშინ მაინც მიხვდებოდა (თუმცა ისედაც უნდა მიმხვდარიყო), თუ რას და რატომ ვსაყვედურობ მის „მამა-მარჩენალს“. ამიტომაც, იძულებული ვარ წერილიდან მოვიხმო ზოგიერთი ამოღებული პასაჟი, რათა მკითხველმა ირწმუნოს, რომ სრულიად სპირისპიროს ვამტკიცებ. ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს კაცი, არამედ „რამდენად თავდადებით და ღირსებით ემსახურება დასახულ მიზანს და რამდენად ადგება მისი ნამოღვაწარი მის ერსა და ქვეყანას“. იმასაც აღვნიშნავდი, რომ სტალინისა და ორჯონიკიძის ნამოქმედარსაც აქვს გამართლება, „თუ მართლაც ნამდვილი, ჭეშმარიტი იდეის ფანგარო სამსახურთან გვაქვს საქმე“. მაგრამ ე. შევარდნაძეს, ვფიქრობ, არასოდეს არ სწამდა იმისა, რასაც საქვეყნოდ ქადაგებდა. თუ რატომ, ამის შესახებაც მაქვს დამაჯერებელი არგუმენტაცია, მაგრამ ახლა მისი მოხმობა შორს წაგვიყვანდა. ერთი სიტყვით, მე ვფიქრობ, რომ ე. შევარდნაძეს არ სწამდა იმ ხატისა, რომელზედაც ფიცებდა. ის იდეას კი არ ეწირებოდა, არამედ იდეას იყენებდა პირადი კეთილდღეობისათვის. სწორედ ამის გამო მას ვსაყვედურობდი: „თქვენ იბრძოდით სოციალისტური წყობილებისათვის იმდენად, რამდენადაც ის ქმნიდა თქვენ პიროვნულ კეთილდღეობას. ასე რომ, თქვენ ფიქრობდით საკუთარ თავზე და არა ქვეყანაზე. უფრო მეტიც, თქვენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა აშკარად მეტყველებს, რომ თქვენ არაფერზე იხევდით უკან, რათა კარიერის საფეხურებზე ზეასულიყავით, ხელში ჩაგეგდოთ ისეთი თანამდებობა, თქვენ ძალაუფლებისმოყვარე ბუნებას რომ დაკმაყოფილებდა. ერთი სიტყვით, მთელ თქვენს მოღვაწეობას ასულდგმულებდა ერთადერთი მიზანი — თანამდებობის ხელში ჩაგდება. ყოველგვარი მაღალი იდეალები, სახელმწიფო ინტერესები თქვენთვის იყო მხოლოდ საფარი და კარიერისკენ სწრაფვა გასხამდათ ფრიებს. ნუ გეწყინებათ, და პირდაპირ გეტყვით: თქვენ ხართ პირწავარდნილი კარიერისტი, რომელიც ყველას და ყველაფერს გაწირავს თავისი სანუკვარი მიზნის, მაღალი პოსტის დასაუფლებლად. კარიერიზმით მრავალია შეპყრობილი, მაგრამ როცა ის სჭირს სახელმწიფოს თავკაცს, მაშინ ეს ავადმყოფობა საზიანოა, დამღუპველია მთელი ქვეყნისთვის და სავალალო შედეგების მომტანიც“.

ჩემი სიტყვების უტყუარობას ე. წ. სახელმწიფო მეთაურის ბოლოჟამინდელი მოქმედებაც ადასტურებს. მან, მხოლოდ იმისთვის, რომ ძალაუფლება არ გასხლტომოდა ხელიდან და „პირველი კაცის“ სავარძელი არ დაეკარგა, გასწირა საქართველოს თავისუფლება. რუსის ჯარს უხმო ქვეყნის დასაპყრობად, რის შესახებაც „პარლამენტის“ ერთ-ერთ სხდომაზე თავადაც წამოცდა.

ერთი სიტყვითა და ორი გაგებით, მე იმას კი არ ვსაყვედურობ შევარდნაძეს, რატომ იყავი პარტიის წევრი და ფუნქციონერი-მეთქი (თუმცა ამას დიდ სანაქებო საქმედ ვერ აღვიქვამ და ახლა შარტავას თუ მამარდაშვილის მაგალითი კი არა, მოტროსოვის, კანტისა და ჰეგელის ავტორიტეტიც რომ მოიშველიოს ჩემმა ოპონენტმა კომუნისტების გასამართლებლად, ვერაფერს გააწყობს და იმ ცოდვის ზღვა სისხლში ჩაიხრჩობა, ბოლშევიკებმა რომ დაღვარეს საუკუნის მანძილზე), არამედ კარიერისტობას, რომელსაც ის ყველაფერს ანაცვალებს. მერმე, თურმე შევარდნაძის მთავარ ღალატად ის მიმაჩნია, რომ მას „ბევრი საპური სიტყვა უთქამს იმპერიის ბელადებისთვის“. მხოლოდ ეს რომ ბრალდებოდეს ე. შევარდნაძეს, ვინ არის ხმის ამომღები და გამკითხავი? მაგრამ აქაც აზრის შეგნებულ გაყალბებასთან გვაქვს საქმე. ეს „სახოტბო პოზიაც“ შევარდნაძეს თავისი სავარძლის ეახლაურებლად სჭირდებოდა. ოღონ. ხდება შორის, გოეთეც აქებდა ნაპოლეონს, რადგანაც უდიდეს პიროვნებად მიაჩნდა. არც ის მიკვირს, რომ ქართველ მწერალს სტალინისათვის ხოტბა მიეძღვნა, მაგრამ უკვე გამოლენებული დეფეკაციაშეუკავებელი ბრეჟნევის ღმერთკაცად დახატვა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას რომ წაადგებოდა — , არავითარი მორალურ-ეთიკური ნორმებით გამართლებული არ არის. აქვე იმასაც დავსძენ მირიანაშვილის გასაგონად, რომ რაღაც არ მაგონდება XIX საუკუნის ერის მამათ — ილიას, ვაჟას და აკაკის რუსთა ხელმწიფის ქებით მოლლოდეთ კალამი, პირიქით კი...

დასასრულ, თურმე მე არ მომაქვს არავითარი იურიდიული საბუთი, რომლითაც გავამართლებდი ჩემს „ბრალდებებს“. უნდა გავკანდიერდე და შევახსენო ჩემს ოპონენტს, რომ პროკურორი არ ვარ და არც არავის ვუპირებ მსჯავრდებას და განაჩენის გამოტანას. მხოლოდ ჩემს საკუთარ აზრს და შეხედულებას გამოვხატავ, რისი უფლებაც, ეგონებ, მაქვს. ხოლო რაც შეეხება საბუთებს, რამდენადაც ვიცი, საკარისზე მეტია სპეციალური კომისიების მიერ შესწავლილი და გამოკვლეული. ახლა მათი ადგილსამყოფელი რომ გავამხილო, ამჟამინდელი რეჟიმის ამბავი რომ ვიცი, ერთთავად გააქრობენ. ასეც რომ არ იყოს, განა ქართველი საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რომ ე. შევარდნაძის ცკ-ის მდივნობისას მისი ნებისა და სურვილის გარეშე ბუზიც კი ვერ გაფრინდებოდა?! ამიტომაც მთელი უბედურება, რაც იმჟამად ტრიალებდა, მისგან იღებდა სათავეს. განა ახლაც ასე არ ხდება: ის ერთპიროვნულად წყვეტს ისეთ პრობლემებს, რაც მთელი ერის გადასწყვეტია. გამკითხავი კი არავინ არის. მაგრამ არა უშავს. ერი... დრო არავის შერჩენია და განკითხვის ჟამიც დადგება.

ახლა უნდა კუპასუხო იმ კითხვებსაც, პირადად მე რომ დამისვა მირიანაშვილმა: თუ რატომ შევედი პარტიაში, ამის შესახებ არაერთგზის მიწერია და აქ აღარ გავიმეორებ. ოღონდაც არასოდეს ყოფილვარ ფუნქციონერი და ცკ-შიც არცერთხელ არ მივსულვარ მანამ, სანა რედაქტორად არ დამნიშნეს. ღერძთო შენი სახელის ჭირიმე და მირიანაშვილის ირგვლივ იმდენი ცკ-ს მოღვაწე და ფუნქციონერი ყურყუმალაობს, რომ მიკვირს, ჩემი „ცკ-ში სიარული რამ გაახსენა?! რაც შეეხება ცკ-ს მდივნებთან ძმაკაცობას: გაქალაქებულ პროვინციელთაგან განსხვავებით, მე ძმაკაცებს კაცობით ვირჩევდი და არა პარტიების და თანამდებობების მიხედვით. სხვათა შორის, „ძველი ბიჭებიც“ მყავდა და მყავს მეგობრები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მათი ხაქმიანობა მოწონდეს. ჩემი ოპონენტი აშკარად ცრუობს, როცა წერს, რომ ჩემი რედაქტორობის ჟამს იბეჭდება „პრაქტიკულად ყველა ნომერში (1985-89 წლამდე) ამდენი სახოტბო მასალა, პარტიაზეც, მის ლიდერებზეც, იმპერიაზეც?“ იმას ვერ დავიჩემებ, რომ საკდესის ოფიციალურ მასალას არ ვბეჭდავდი-მეთქი. ვისაც რედაქციაში უმუშავია, მისთვის ცხადია, ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ მირიანაშვილი ვერ დამისახელებს ისეთ წერილს, სადაც პარტიის, მისი ბელადების და იმპერიის ხოტბა იყო და რომლის ბეჭდვა-არდაბეჭდვაც რედაქტორზე იყო დამოკიდებული. სამაგიეროდ, შემიძლია დავუსახელო უამრავი წერილი, სადაც ძირფესვიანად იყო მოთხრილი პარტიაც, მისი ბელადებიც და იმპერიაც. ეს მირიანაშვილმაც ძალზე კარგად იცის, მაგრამ რა ქნას, უჭირს და სიცრუეს კადრულობს. დასასრულ, როცა „სა-

დასასრული 83-5 გ3.

შევარდნაძის ხელისბიჭთა „ბუუტური“

ბეთია გვერდწითელი

ქართველოში და საზოგადოდ იმპერიაში ამდენი უსამართლობა ხდებოდა“, რატომ არ ვძრავდი კრინტს? იმიტომ, ჩემი ცხინვალელი ინტელიგენტო, რომ სწორედ „ამდენი უსამართლობა“ ხდებოდა და მართალ სიტყვას ვერ დავბეჭდავდი. მაგრამ, სხვათაგან განსხვავებით, სახოტბო წერილები არ მიწერია არც კომკავშირზე და არც პარტიაზე. მეშინია თავის ქებად არ ჩამითვალონ, მაგრამ მაინც ვიტყვი: თუ ვინმე ახერხებდა რაიმეს თქმას, მათ შორის მეც ვიყავი.

ეგონებ, ყველა კითხვას გავეცი პასუხი და მირიანაშვილს გავუქარწყლე ის შიში, გულს რომ უღრღნიდა: „პასუხები მათზე ვალალიძეს არ შეიძლება ჰქონდესო“.

ახლა წერილის მეორე ნაწილსაც მივხედოთ. როგორც ზემოთაც გითხარით, ცხინვალელ ინტელიგენტს, უფრო მართებულად, შევარდნაძის ხელის ბიჭს, მიზნად დაუსახავს როგორმე გაათეთროს თავის პატრონი და მე გასაშავოს, რადგანაც ალბათ ფიქრობს, შავის ფონზე თეთრი უკეთ აღიქმებაო. ამიტომაც უკადრებელს კადრულობს. ასეთ ადამიანებს რა ემართებათ, ცოტა ხანში თავადაც შეიტყობს. მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ მის ცილისწამებას და კომუნისტურ იდეოლოგიაზე აღმოცენებულ დემაგოგიას გავცე პასუხი.

პირველი. თურმე მე „ცეკაში ჩავწყე“ „კრიტიკის“ იმჟამინდელი რედაქტორის თ. დოიაშვილის მოხსნა და „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი გავხდი ადამიანი, რომელიც თურქული ენის სპეციალისტი ვიყავი და ლიტერატურათმცოდნეობასთან არაფერი მაკავშირებდა. როგორც ამბობენ, თავის ნაწერებში ხშირად მწერალი საკუთარ ქვეცნობიერ ბუნებას ავლენს. ყველაფრიდან ჩანს, „ჩალიჩი“ და „ნაწყობა“ მირიანაშვილის ხელობაა, ამიტომაც სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია ადამიანის თანამდებობაზე დანიშვნა. სინამდვილეში საქმე როგორ იყო, ვინ ებრძოდა „კრიტიკის“ მთავარ რედაქტორს და რატომ გაანთავისუფლეს, ეს ყველაზე კარგად თავად თ. დოიაშვილმა იცის და, მადლობა ღმერთს, ის კაცი დღეს ცოცხალია. ვფიქრობ, მირიანაშვილის დონეზე ის არ დაეშვება და სიმართლეს იტყვის. მერმე, მირიანაშვილმა ისიც არ იცის, რომ მე „თურქული ენის სპეციალისტი“ კი არ ვარ, არამედ აღმოსავლური და, კერძოდ, თურქული ლიტერატურის მკვლევარი. ის ფილოლოგი, ვინც ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს ვერ ასხვავებს, ვერც ფუნასა და ვარდს გაარჩევს ერთმანეთისგან. აკი, ვერც არჩევს კიდეც. მაგრამ თურმე მხოლოდ ეს არ არის ჩემი დანაშაული, უფრო დიდი ცოდვაც ჩამიდენია და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გავიხდარვარ კაცი, რომელსაც არ მქონდა გამოქვეყნებული „არც ერთი პროზაული ან პოეტური ნაწარმოები“ და ვიყავი „სამად-სამი წერილის“ ავტორი. ეხლა მირიანაშვილმა და მისთა მსგავსმა მისმინონ: ჯერ ერთი, სავსებით უმეცარი უნდა იყოს კაცი, რომ თუნდაც ლიტერატურული გაზეთის რედაქტორობა „პროზაული თუ პოეტური“ ნაწარმოებების გამოქვეყნებით განსაზღვრო და შეაფასო. რაღაც არ მაგონდება, რომ თამაზ ფიწეიავეს პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები ჰქონდეს გამოქვეყნებული, მაგრამ მთავარ რედაქტორობაზე უარი არ უთქვამს. სხვა რედაქტორების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მეორეც, მეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნეს ღირსება წერილთა რაოდენობით კი არ გაიზომება, არამედ მისი აზროვნების სიღრმით და ლიტერატურათმცოდნეობის დონით. მესამეც, თუ წერილია რაოდენობაზე მიდგა საქმე, მე აღმოსავლური ლიტერატურის და, საკუთრივ, ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის პრობლემებზე იმდენი წერილი, გამოკვლევა და წიგნი მაქვს დასტამბული, რომ მირიანაშვილს წაკითხულიც არ ექნება საერთოდ. რა ვქნათ ახლა, მისი უწიგნურობა ინაღვლოს მკითხველმა?!

ცხინვალელი ინტელიგენტი ამ ბრალდებითაც არ კმაყოფილდება, ხელისუფლება არ აპირებდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის ანგარიშის სწორებას (!!!), განაწყენებული მოულოდნელად მოგვევლინა ისტერიულ ზვიადისტად“.

როგორც იტყვიან, ღმერთმა ამ სიმართლით ატაროს მირიანაშვილიც და მისი პატრონიც. მეუხერხულება, მაგრამ კიდევ ერთხელ იძულებული ვარ სიმართლე ვუთხრა ქართველ ხალხს, რათა საბოლოოდ წარმოვაჩინო სიცრუის ჭაობში ჩაფლული ხელისბიჭის „კიკაცობა“ და ობიექტურობა.

მაშ, ასე:

1. 1992 წლის 4 იანვარს მოვიწვიე განათლების სამინისტროს საერთო კრება, სადაც, სიტყვით გამოსულმა, დავმე მცდელობა იარაღის ძალით ხელისუფლებაში მოსვლისა და იგი შევაფასე, როგორც სამხედრო გადატრიალება, პუტჩი. ამასთანავე აღვნიშნე, რომ ახეთ „ხელისუფლებასთან“ თანამშრომლობა არ შეიძლება-მეთქი. (იხ. ოქმი: 4/I 92 წ.)

2. როცა ე. შევარდნაძე 1992 წლის 7 მარტს, თავისი მეუღლის დაბადების დღეს, თბილისში ჩამოვიდა და მას ქართველი მწერლები და მათი გაზეთის რედკოლეგია აღფრთოვანებით შეხვდნენ, მე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში გავაგზავნე წერილი, რომელშიც ამ აღფრთოვანებას არ ვიზიარებდი და ვწერდი: „ე. შევარდნაძე საქართველოში სისხლიან კვალს მოჰყვება ხოლმე. იგი ჩამობრძანდა 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ და ახლაც საქართველოში დატრიალებული დიდი ტრაგედიის — ძმათამკვლელობის შემდეგ ჩამოვიდა. როგორც თავად არ მალავს, ამ ძმათამკვლელი ომის ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა. ჩემი ღრმა რწმენით, ვინც ამ საშინელ აქციაში მონაწილეობა მიიღო, არა აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცეს... მან ქართველ ინტელიგენციას საჯაროდ მოუწონა ავტომატის ხელში აღება კანონიერი ხელისუფლების დასამხობად. ცხადია, ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც კალმს ავტომატს ამჯობინებს, დემოკრატიას ვერ დამყარებს საქართველოში, ამიტომაც მე მის ჩამობრძანებას და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას ვერაფრით მოვიწონებ და ვერც გავამართლებ“. საწუხაროდ, ეს წერილი არ დაბეჭდეს, მაგრამ ის ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში და დიდი მოწონებითაც სარგებლობდა.

3. 1992 წლის 25 მარტს გამართულ მწერალთა ყრილობაზე მუხრან მაჭავარიანმა, ენვერ ნიკარაძემ, ნოდარ წულეისკირმა და მე ერთობლივად განვაცხადეთ (სხვათა შორის, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, განცხადების ტექსტი ჩემი შედგენილია), რომ ვგმობთ სამხედრო გადატრიალებას და გავედით მწერალთა კავშირიდან (იხ.: „ლიტერატურული საქართველო“, № 12, 3. IV. 1992 წ.).

4. 1992 წლის აპრილში გაზეთმა „კაბადონმა“ დაბეჭდა ჩემი წერილი „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, რომელშიც ვამხილე „დემოკრატ ინტელიგენტთა“ ჭეშმარიტი ზრახვანი და „დემოკრატიისათვის ბრძოლას“ ეუწოდე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაბრუნება (იხ.: „კაბადონი“, № 13, 30. IV. 1992 წ.).

5. 1992 წლის 15 მაისს გაზეთ „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც დავგმე ხალხის ნების უგულვებელყოფა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობა იარაღის ძალით (იხ.: „რესპუბლიკა“, № 11, 15. V. 1992 წ.).

6. 1992 წლის მაისის თვის გაზეთ „აღდგომაში“ დაიბეჭდა ჩემი ვრცელი წერილი „უკუნეთი“, სადაც მომხდარი მოვლენების ანალიზი იყო გაკეთებული და ყველაფერს თავისი სახელი ერქვა (იხ. გაზ. „აღდგომა“, № 4, 24. V. 1992 წ.).

7. 1992 წლის სექტემბერში დავბეჭდე ინტერვიუ, რომელშაც იმიტომ დაიგვიანა მხოლოდ, რომ ვინც შემიკეთა, იმ გაზეთის რედაქტორმა ვეღარ გაბედა ინტერვიუს გამოქვეყნება (იხ. გაზ. „საშუალო ფენა“, № 2, № 3, IX. 1992 წ.).

შეიძლება სხვა მაგალითების მოხმობაც. მაგრამ, ეგონებ, საკმარისია. როგორც ირკვევა, პირველივე დღიდან მე ხმას ვიმაღლებდი ხუნტის წინააღმდეგ და ეს ყველამ კარგად იცის, გარდა ხელის მიმინოსი. თუმცა რა მისი ბრალია, მას ხომ თვალებახვეულს გეშავდნენ?! აქვე უნდა გავაქარწყლო მირიანაშვილის ერთი უტიფარი სიცრუეც, თითქოს 1992 წლის შემოგომაზე სრულიად აშკარა გახდა, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ანგარიშის გასწორებას არ უპირებდა. საყოველთაოდ ცნობილია, პუტჩის პირველი დღიდან მოყოლებული დღემდე როგორ დევნიან, როგორ აპატიმრებენ და აწამებენ პოლიტიკურ მონაწინააღმდეგეებს. როგორ უსწორდებიან ფიზიკურად?! ამაზე მირიანაშვილმა სიტყვაც რომ არ დაძრას, თავად ფაქტები და ციხეები ლაღადებენ. მკითხველს აღარ შევაწყენ თავს იმის ახსნით, თუ როგორ მექცევა სხვებთან ერთად მეც ამჟამინდელი ხელისუფლება. მაგრამ მირიანაშვილის მსგავსმა კარიერიზმით დაავადებულმა ვაი ერისშვილებმა უნდა იცოდნენ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სულიც რომ ამომხადონ, გარეწართა აღლუმებში მონაწილეობას არ მივიღებ. ამიტომაც მშვიდად ბრძანდებოდნენ თავიანთ თბილ სავარძლებში მოკალათებულნი და ნეტარებით დატკბნენ საქართველოს დაქცევითა და დაშლით!... მათი თვალი ხომ პირადი კეთილდღეობის გარდა ვერაფერს ხედავს!

თუ მირიანაშვილი მაინც ახერხებს სათქმელს როგორმე თავი მოუყაროს, ამ მხრივ პ.-მ. აბაიშვილს ცუდად აქვს საქმე. მის წერილში ისეთი ჭრიჭინი და ხრაშახრუში ისმის, რომ გეგონებათ ეიღაცა მარნეულში შეძენილი ლაკის ფეხსაცმელებით ახლად დაფიფქულ მშრალ თოვლში მიაბოტებსო. პირადად მე ამ პიროვნების გვარი და სახელი არ მსმენია. არადა, ისე მეღლაბუცება, შეიძლება სადღაც შემხვედრია კიდეც. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა მატროსოვივით დაიცვას მკერდით თავისი მფარველი და ამის გამო მე მიწევს საკამათოდ. თანაც დასძენს: „თუ მაინც და მაინც ხელები გექავებათ, აბერ [illegible] თქვენზე არც მეტი [illegible] ვიშაიროთ და ვიშაიროთ. ხალხსაც გავამხიარულებთ ნაცარქექიობით და იქნებ ჰონორარსაც გამოკრთა ხელი“... ჩანს, ძალზე გაუკადნიერებია მის ტიტულს: როგორც თავად გვაუწყებს, ის არის „პარლამენტის პრესცენტრის მთავარი სპეციალისტი“. ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — ამ „მთავარი სპეციალისტის“ არაფერი წამიკითხავს. ისე კი გამიგია, რომ რამდენიმე გაზეთიდან ფეხი უკრავთ „ხელის გამოკრისა“ გამო (ცხადია, „ჰონორარის ხელის გამოკრის“ გამო ეს არ მოხდებოდა). ასე რომ, ნაცარქექიობას ტყუილად იჩემებს თავად, კარგად გამოწვრთნილი მაამებელი ჩანს. სხვათა შორის, ამპარტავნობა არ მწვევია, ბავშვთათვისაც გამიყადრებია თავი, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა, მაგრამ ვეროდეს ვეგუებოდი ზრდადასრულებულ უმეცრებს. ფრადა, მისი წერილის წაკითხვის შემდგომ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი ოპონენტი ყმაწვილ კაცივით თავს იწონებს სწორედ უმეცრებითა და უცოდინარობით. კიდევ მას აქვს ისეთი „ფსიქოენერგეტიკული“ გამოხტომები და შედარებები, რომ აშკარად აწუხებს ლიბიდო, ფროიდისთვისაც ყური მოუკრავს, მაგრამ მისი ცოდნით თავს არ იტკივებს. ერთი სიტყვით, გაუგია ალია მომკვდარაო და ისეთ რაღაცეებს წამოროშავს, ცხონებული ზიგმუნდი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ყველაფერს დაიბდღვნიდა. ამიტომაც ის პარლამენტის პრესცენტრის „მთავარი სპეციალისტი“ კი არა, მთლად „სკიპერიც“ რომ იყოს (ეტყობა, მოწადინებული კაცია და ამასაც მიაღწევს!...) ავტორიტეტულ სიტყვას ვერ იტყვის ჟურნალისტის სფეროში. აქედან სავსებით ბუნებრივია, რომ მისეული შეფასება ოპოზიციური და სხვა გაზეთებისა, მართლაც და, ნაცარქექიას გულუბრყვილო ზმანებებს მაგონებს და ახლა მას რომ სერიოზულად ვეკამათოთ, ცუდად ყოფილა ჩემი საქმეც...

ასე და ამრიგად, მე მასთან საუბარს მოვრჩი... და ისევ დამრჩენია, მივუმღერო: გუდბაი, მთი მალჩიკ, გუდბაი, კორიდონ!

დასასრულს მაინც შეშფოთებით უნდა დავსძინო, რომ ე. წ. სახელმწიფოს მეთაურის აპარატში იმდენ მუშაკს მოუყარეს თავი, რომ პრესცენტრის მთავარი სპეციალისტის ადგილიც გამოუძებნიათ, ქვეყნის უკიდურესი ეკონომიკური სიღატაკის მიუხედავად, როგორც იტყვიან, ღმერთმა უმრავლოს მას „ბრძენი“ მრჩევლები და „მთავარი სპეციალისტები“. ეს მე არ მადარდებს. სხვა რამ მაწუხებს: ნუთუ საქართველოში მთლად მოისპო ნორმალური, გონდამჯდარი ჯადამიანები, შევარდნაძემ თავის ამალაში რომ უხმოს. მაგრამ არა, ეტყობა, მის „სვიტაში“ რომ მოხვდე, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, უნდა იყო მისი ზრახვების ბრმა მიმდევარი, ყურმოჭრილი მონა, კერპთაყვანისმცემელი და მისი ნების უსიტყვო აღმასრულებელი. თუ ამ პირობას აკმაყოფილებ, ასეთ შემთხვევაში არავინ დაგიდევს ვინ ხარ შენ: კარიერისტი, მექრთამე, ბრიყვი, უცოდინარი, დამნაშაკე თუ, რაც გნებავს. პირუკუ, ასეთი თვისება-ხასიათები, ეტყობა, მოსწონთ კიდევაც, რადგანაც პიროვნული „ამბოხის“ უამს მას თვალწინ აუფრიალებდნენ დანაშაულთა ნუსხას. ასეთ მიდგომას კი რა შედეგი მოჰყვება, უფრო მართებულად, მოჰყვა, ყველასათვის ისედაც ნათელია.

აი, ეს არის ფრიად საწუხარი!..

27. 03. 94

ПРОЕКТИ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

პროექტი მოამზადა საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებულმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.

ავტორები:

ზურაბ ადეიშვილი (ხელმძღვანელი), გიორგი გოგიაშვილი, გია კახეთელიძე, ლევან ალაფიშვილი

პრეამბულა

შეგნებული გვაქვს რა უდიდესი პასუხისმგებლობა ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე

ჩვენ, საქართველოს ხალხი

გაერთიანებული საერთო ნებით, ბედითა და იდეალებით;

გამომდინარე საქართველოს მრავალსაუკუნეობრივი სახელმწიფოებრიობიდან და საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობისაკენ მისწრაფებით;

აღვსილი სურვილით: შევქმნათ დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის თავისუფლება, ღირსება და კეთილდღეობა;

ვაცხადებთ და სამოქმედოდ შემოგვაქვს

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

(ვარიანტი: ჩვენ, საქართველოს ხალხი ვეყრდნობით რა საქართველოს მრავალსაუკუნოებრივ სახელმწიფოებრიობას;

გამოვდივართ რა თავისუფლების, თანასწორობის და სამართლიანობის იდეალებიდან;

მივისწრაფვით რა საერთაშორისო თანამშრომლობის და მშვიდობისაკენ;

შეგნებული გვაქვს რა უდიდესი პასუხისმგებლობა ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე;

გვსურს რა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა;

ვაცხადებთ და სამოქმედოდ შემოგვაქვს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია).

თავი I

ძირითადი დებულებები

მუხლი 1

საქართველოს რესპუბლიკა — საქართველო არის სუვერენული, სამართლებრივი, დემოკრატიული და საერო სახელმწიფო.

მუხლი 2

საქართველოს რესპუბლიკაში ხელისუფლების წყაროა ხალხი.

ხალხი ხელისუფლებას ანხორციელებს რეფერენდუმის და არჩევნების გზით და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით.

არავის არ შეუძლია მითვისოს ხელისუფლება ან განახორციელოს იგი საკუთარი სახელით.

მუხლი 3

საქართველოს რესპუბლიკა აღიარებს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

მუხლი 4

იდეოლოგიური და პოლიტიკური პლურალიზმი გარანტირებულია.

არცერთი იდეოლოგია არ შეიძლება გამოცხადდეს სახელმწიფოდ და სავალდებულოდ.

პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებასა (ჩამოყალიბებასა) და გამოხატვაში. პარტიები მოქმედებენ დამოუკიდებლად კანონმდებლობისა და დემოკრატიული პრინციპების ფარგლებში.

მუხლი 5

საქართველოში არცერთი რელიგია არ შეიძლება გამოცხადდეს სახელმწიფოდ და სავალდებულოდ.

რელიგიური გაერთიანებები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

მუხლი 6

საქართველოს დედაქალაქია თბილისი.

მუხლი 7

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა და გერბის აღწერილობა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 8

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულის გარდა სახელმწიფო ენად შეიძლება გამოცხადდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხალხის ენა.

სახელმწიფო ქმნის პირობებს ეროვნული უმცირესობების ენების სწავლებისა და განვითარებისათვის.

მუხლი 9

კონსტიტუცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი კანონის. ყოველი კანონი თუ სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს (ვარიანტი — არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს) კონსტიტუციას.

იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ სათანადო წესით გამოცხადებულ სამართლებრივ აქტს.

მუხლი 10

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო ხელისუფლებას ანხორციელებს: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოქმედებენ დამოუკიდებლად და კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11

საქართველოს რესპუბლიკა ერთიანი და განუყოფელია.

საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები.

ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 12

საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებულია ერთიანი და თანასწორი მოქალაქეობა.

მოქალაქე არ შეიძლება იმავე დროს იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონი ადგენს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლის და მოქალაქეობის დაკარგვის წესს და პირობებს.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მისი შეცვლის უფლება.

მუხლი 13

უცხოეთის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კანონით საერთაშორისო სამართლის ნორმების და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

კანონი ადგენს უცხოეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს რესპუბლიკაში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის პირობებს.

მუხლი 14

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის საფუძველია თავისუფალი მეწარმეობა და სამეურნეო კონკურენცია.

სახელმწიფო იცავს მეწარმეობას და ქმნის პირობებს მისი განვითარებისათვის.

მუხლი 15

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორია კანონის წინაშე.

მიწა, მისი წიაღი, ტერიტორიული წყლები, ტყე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების ან სახელმწიფოს საკუთრება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 16

გარემოს დაცვა სახელმწიფოსა და მოქალაქეების ვალია.

სახელმწიფო იცავს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლებს.

მუხლი 17

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ნაწილია. მათ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა კანონებთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით.

მუხლი 18

სახელმწიფო ინტერესების დაცვის და საერთაშორისო პროგრესის თანამშრომლობის განვითარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია თავისი სუვერენული უფლებების ნაწილი გადასცეს საერთაშორისო გაერთიანებას

საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების ნაწილის საერთაშორისო გაერთიანებისათვის გადაცემას, პარლამენტი რატიფიკაციას უკეთებს მისი შემადგენლობის 4/5-ის უმრავლესობით.

თავი II

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 19

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე სქესის, რასის, ეროვნების, ენის, რწმენის, პოლიტიკური მრწამსის, ჭონებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

მუხლი 20

ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე იცავს კანონი.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 21

თვითოეულს აქვს უფლება პირად ხელშეუხებლობაზე და თავისუფლებაზე.

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოქცევას თუ სასჯელს. არავის მიმართ არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

პიროვნების დაპატიმრება, დაკავება ან სხვაგვარად თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

კანონი განსაზღვრავს წინასწარი პატიმრობის და დაკავების მაქსიმალურ ვადას.

მუხლი 22

თითოეულს აქვს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება თავისუფლად დატოვოს რესპუბლიკის ტერიტორია.

მოქალაქის უფლება თავისუფლად დაბრუნდეს სამშობლოში ხელშეუხებელია.

მუხლი 23

მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრების უფლება გარანტირებულია.

ღია ცის ქვეშ გამართული შეკრების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს ხელისუფლებას.

შეკრების აკრძალვა შეიძლება მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მატერიალურ ფასეულობებს.

მუხლი 24

თითოეულს აქვს ასოციაციებში, კავშირებში და პოლიტიკურ პარტიებში თავისუფალი გაერთიანების უფლება.

არავინ არ უნდა იქნეს იძულებული შევიდეს ან იყოს რომელიმე გაერთიანებაში თუ პოლიტიკურ პარტიაში.

აკრძალულია საიდუმლო ან გასამხედროებული, აგრეთვე ისეთი გაერთიანების თუ პოლიტიკური პარტიების შექმნა, რომელთა მიზნები ან საქმიანობა ეწინააღმდეგება კანონს.

მუხლი 25

ბინა ხელშეუხებელია.

არავის არ აქვს უფლება შევიდეს ბინაში მასში მცხოვრები პირების ნებართვის გარეშე, გარდა სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია დამნაშავის დაკავების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 26

ადამიანის ღირსებას, პირადი ცხოვრების თავისუფლებას, პირად და ოჯახურ საიდუმლოებას იცავს კანონი.

მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, სატელეგრაფო შეტყობინებების და სხვა სახის კორესპოდენციების საიდუმლოება ხელშეუხებელია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

სახელმწიფო ორგანოთა მიერ პირადი ხასიათის ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება პირის თანხმობის გარეშე დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

თითოეულს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით მიიღოს სახელმწიფო დაწესებულებიდან მასზე არსებული ინფორმაცია.

მუხლი 27

სინდისის და რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია.

თითოეულს აქვს უფლება საკუთარი არჩევანით აღიაროს ან არ აღიაროს ნებისმიერი რელიგია თუ მრწამსი, ასრულებდეს რელიგიურ წესებს თუ რიტუალებს როგორც სხვებთან ერთად, ისე ერთპიროვნულად, საჯარო ან კერძო წესით.

მუხლი 28

თითოეულს უფლება აქვს იქონიოს, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად ან წერილობით, პრესის ან სხვა საშუალებით.

არავინ არ უნდა იქნეს იძულებული საჯაროდ გამოაქვეყნოს თავისი აზრი ან მრწამსი ან უარი თქვას მასზე.

აკრძალულია რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სოციალური შუღლის ან უპირატესობის პროპაგანდა.

მუხლი 29

ინფორმაციის თავისუფალი მოძიების, მიღების და გავრცელების უფლება გარანტირებულია.

ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალია. ცენზურა აკრძალულია.

კანონით შეიძლება აიკრძალოს ისეთი ინფორმაციის ან აზრის გამოქვეყნება, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, სამხედრო, პროფესიულ თუ პირად საიდუმლოებას ან ლახავს პიროვნების ღირსებას.

მუხლი 30

ყოველ სრულწლოვან მოქალაქეს აქვს საარჩევნო უფლება. კანონით ეს უფლება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ მსჯავრდებულ პირებს.

მუხლი 31

მოქალაქეებს აქვთ უფლება არჩეულ იქნენ სახელმწიფო ორგანოში ან თანამდებობაზე, აგრეთვე, იმსახურონ სახელმწიფო ადმინისტრაციაში.

მუხლი 32

მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ ინდივიდუალური თუ კოლექტიური წერილობითი თხოვნით ან საჩივრით კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია განიხილოს კანონით დადგენილი პირობების დაცვით შემოსული ყოველი თხოვნა ან საჩივარი.

მუხლი 33

მოქალაქე არ შეიძლება გასახლებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან, აგრეთვე, გადაეცეს უცხოეთის სახელმწიფოს, გარდა კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 34

მოქალაქეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევისა და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ თავიანთი კულტურით, გამოიყენონ მშობლიური ენა საჯარო და პირად ურთიერთობებში.

გარანტირებულია ეროვნული უმცირესობის ენაზე დაწყებითი განათლების მიღების უფლება.

მუხლი 35

მოქალაქეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, უფლება აქვთ დააარსონ ეროვნული კავშირები კულტურის, რელიგიურ და სოციალურ საკითხების ორგანიზაციის მიზნით. **მუხლი 35**

მოქალაქე სრულწლოვანად ჩაითვლება და თავისი უფლებების და მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლია 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 36

საკუთრება და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლება ხელშეუხებელია.

საკუთრების უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

იძულებითი გასხვისება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის კანონით ან კანონის საფუძველზე და სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

მუხლი 37

თითოეულს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს საქმიანობის სფერო, პროფესია თუ სამუშაო ადგილი.

არავინ არ უნდა იქნეს იძულებული შეასრულოს რაიმე სამუშაო გარდა საზოგადო ინტერესების შესაბამისად კანონით დადგენილი საყოველთაო სავალდებულო სამსახურისა.

იძულებითი შრომა დაიშვება მხოლოდ სასამართლო განაჩენით სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებისა და სოციალური დაზღვევის უფლება.

მუხლი 38

მოქალაქეებს აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლება სახელმწიფოს ხარჯზე სიბერეში, შრომის უნარის მოლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, უმუშევრობის ან მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში

მუხლი 39

სახელმწიფო აღიარებს თვითოეულს უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, რაც გულისხმობს ანაზღაურებას, რომელიც არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები; უსაფრთხოების და ჰიგიენის მოთხოვნების დაცვას, დაწინაურების ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობების დაწესებას; დასვენების უფლებას; თავისუფალი დროის და პერიოდული ანაზღაურებითი შვებულების არსებობას.

დასასრული შემდეგ ნომერში

დავუთმოთ ასპარეზი ახალ თაობას

მდგომარეობა, რომელიც დღეს საქართველოშია, ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს — გვაშია! მოსახლეობის უმეტესობა ოჯახში შემორჩენილ უკანასკნელ ნივთებს ჰყიდის და ამით ირჩენს თავს. ამას ემატება სამხედრო მარცხების გაუთავებელი სერია და საყოველთაო სახოწარკვეთა, სახელმწიფოს ქაოტური მდგომარეობა, უმუშევრობა, ყაჩაღობა, ტერორი, narკომანია და ყველაფერი ეს, შეიძლება ითქვას, პირდაპირი შედეგია სახელმწიფოს იმ მოდელის დამკვიდრებისა, რომლისთვისაც ახე დამახასიათებელია ავტოკრატიულობა, კანონის დატყვევება, ხელისუფლების ყველა დონეზე სრული უპასუხისმგებლობა, დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნა, განუკითხობა და მრავალი სხვა.

სახელმწიფოს ეს მოდელი, რაც ჩვენში მკვიდრდება დღეს, აბსოლუტურად შეუწყნარებელია სხვაგვარად აზროვნების მიმართ. ერთადერთი ორგანო, სადაც ახე თუ ისე შესაძლებელია საკუთარი განსხვავებული აზრის ხმამაღლა გამოთქმა პარლამენტია და რამდენიმე მართლაც თავისუფალი გაზეთი; თუმცა პარლამენტშიც. კარგად ორგანიზებული უმრავლესობა თუ მოქალაქეთა კავშირის ელიტა ურნალის პრინციპით მუშაობს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც დიქტატურა იკიდებს ფეხს. აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს იმ მოდელს, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლებაც, საკანონმდებლო ხელისუფლებაც და იუდიციული ხელისუფლებაც ერთი კაცის ხელშია თავმოყრილი?! ცნობილია, რომ ნებისმიერი დიქტატურა, მათ შორის ამჟამინდელი ქართული დიქტატურა, ცდილობს სხვადასხვა მოდიფიკაციით დაამკვიდროს და დაამკვიდრა კიდეც სახელმწიფო მონოპოლია ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური ცხოვრების მთელ სივრცეზე; სწორედ დიქტატურა და სახელმწიფო მონოპოლია განაპირობებს ბიუროკრატიზმის აყვავებასა და ზეობას, აგრეთვე მოხელეთა და მაფიოზთა გასახელმწიფოებული ჩრდილოვანი კლანების უხვად წარმოქმნას.

დიქტატურის პირობებში კორუფციის, ძალადობისა და მორალური დეგრადაციის დამატებითი ძლიერი იმპულსია ჰუმანიტარული დახმარება (განსაკუთრებით მისი სანგრძლივად სარგებლობის დროს), რაც შეუბრალებლად შლის ისედაც დაშლადაცემულ ეკონომიკას. დიქტატურის ერთ-ერთი ეფექტური იარაღია აგრეთვე ეკონომიკური ბერკეტები, რაც გამოიხატება მთავარგამგებელთა ლოცვაკურთხევით ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერი საქმიანი წრეების გულუხვად დაჯილდოვებაში შეღავათიანი ინვესტიციებითა ან პრივილეგირებულ სამუშაო პირობებით. ამის შედეგად ეკონომიურად მოძლიერებული პოლიტიკური ძალები იძენენ მანევრირების, ინფორმაციისა და საზღვარგარეთთან უშუალო კონტაქტების შეუდარებლად მეტ საშუალებებს, რაც პოლიტიკური ბატალიებისა და არჩევნების დროს ერთობ მნიშვნელოვანი წონაა.

დღევანდელ დიქტატურას ხომ კომუნისტთა მსგავსად დასაყრდენი ქვეყნის გარეშე ძალაზე აქვს აგებული. ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი დიქტატურის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმ ქვეყნის სიცოცხლისმედეგობაზე, რომლის ძალასაც იგი ეყრდნობა. ასეთი დიქტატურა სამშობლოს იმ ზომით მოუტანს კეთილდღეობას, რა ზომითაც მას მოუზომავს მისი საყრდენი ძალის მფლობელი ქვეყანა. ანუ, გაუჩართლებელია საკუთარ ხალხს ქაურო უცხო ქვეყნის ჯარების იარაღის ენაზე.

საშველი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ თვითმყოფადობაშია; ქართველი ხალხის წიაღში იწრთობა და ძალას იკრებს ჭეშმარიტად ეროვნული, განსწავლული და ყოველმხრივ მომზადებული ახალგაზრდა პატრიოტთა მოძრაობა; მოძრაობა, რომელიც მჯერა, რომ არ დაიკავებს არც წარსულის და არც აწმყოს მხარეს. ეროვნულ ენერგიაზე დაყრდნობით იგი დაუბრუნებს ერს შინაგან სიმტკიცეს და გააერთიანებს დღეს გახლეჩილ ქართველ ერს.

ახე მოქმედებდნენ ვახტანგ გორგასალი, დიდებული მეფე დარი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი და სხვები, რომლებმაც ჯერ აღადგინეს ერის შინაგანი სიმტკიცე და მხოლოდ ამის შემდეგ უმეს გარეშე ძალებს ისევ უცხო ქვეყნების (და არა საკუთარი ხალხის) წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი იყო მეფე ერეკლეც; გეორგიევსკის ტრაქტატს მან ხელი მოაწერა არა სულიერი სიმხნევისა და ფიზიკური შემძლეობის პერიოდში, არამედ ღრმად მოხუცებულმა და დაუძლურებულმა მონარქმა, რუსეთისაგანვე წაქეზებულ მტერთან დამარცხებით სასოწარკვეთილმა და გაწარებულმა; ილაჯგაწყვეტილმა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დროულად ვერ დათმო მართვის სადავეები (ბიჭნდა რა რომ მისი პორიზონტის მმართველი ჯერ კიდევ არ დაბადებულა). როგორ მეორდება ისტორია!

ბუნებრივია, რომ ჩვენი ხალხი, რომელიც თითქმის ორი საუკუნეა ძალით გადაარჩეს საკუთარ თავზე ფიქრსა და საკუთარი თავის პატრონობას, მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ ეროვნულმა მოძრაობამ (რომელსაც ვერ ეყოლებოდა ეროვნული იდეოლოგიით აღსრდილი, შესაბამისად განსწავლული და პოლიტიკურად გამოწრთობილი კადრებისა თუ ოფიცერთა სიუხვე), დროებით დათმო ასპარეზი. მაგრამ მხოლოდ დროებით. უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველი ხალხი იმდენჯერ მოტყუვდა, იმდენჯერ გაცრუვდა იმედი და შედეგად ისეთი მსხვერპლი გაიღო, რომ ყოველივე ამას შეუძლებელია არ მოჰყვეს ხალხის პოლიტიკური აზროვნების დაჩქარებული მოწიფება.

და მაინც, სამწუხაროდ, აგრე რიგად დაბნეული ხალხი ისევ და ისევ, სვამდა და ეხლაც სვამს ერთადერთ კითხვას — თუ პრეზიდენტი არა (მაშინ), თუ სახელმწიფოს მეთაური არა (დღეს), მაშ ვინ? ამ კითხვას, ჩემის აზრით შეიძლება გაეცეს ერთადერთი ლოგიკური პასუხი.

ყველა, ვისაც კი გაუბრწყინებია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცაზე, ისტორიული პიროვნებანი გახდნენ მხოლოდ მათი საქმიანობის შედეგად. თავისი კარიერის დასაწყისში ისინი გამოუცდელნი და უსახელონი (თუმცა სპეციალურად განსწავლულ-გაწვრთნილნი) იყვნენ. სახელოვანი, გამოცდილი და წლებით დაბრძენებული მოღვაწე არც თუ იშვიათად ჩაშქრალ ვარსკვლავს მაგონებს, რომელზეც დღეს, ჩვენს ეპოქაში, აქცენტის აღება არ შეიძლება, თუმცა მათი ცოდნა და გამოცდილება ერისათვის დიდი განძია და მისი ეფექტური გამოყენება (თუ ამის საშუალებას მოგვცემს ქართული პატივმოყვარეობა და ამბიციები, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

მთავარია, რომ ჩვენ არ შეგვეშინდეს ახალი თაობისა; არ უნდა გვეშინოდეს, რომ ისინი დღეს უჩინონი და უსახელონი არიან; მთავარია იყვნენ გონიერნი, ეროვნულნი, ქმედითნი და განსწავლულნი, თავისუფალნი წარსულის კუდებისა თუ შტამპებისაგან. თუ გადარჩენა გვინდა, საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები უნდა მოხდეს და ეს უნდა განახორციელოს სწორედ ახალმა თაობამ, რომელიც დამძიმებული არაა ძველი და ახალი პოზიციისა თუ ოპოზიციის მემკვიდრეობისაგან და საერთო ეროვნულ საწყისებზე დაყრდნობით ნეს ერის შინაგანი სიმტკიცე და მხოლოდ ამის შემდეგ უმეს ძალებს ისევ უცხო ქვეყნების (და არა საკუთარი ხალხის) წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი იყო მეფე ერეკლეც; გეორგიევსკის ტრაქტატს მან ხელი მოაწერა არა სულიერი სიმხნევისა და ფიზიკური შემძლეობის პერიოდში, არამედ ღრმად მოხუცებულმა და დაუძლურებულმა მონარქმა, რუსეთისაგანვე წაქეზებულ მტერთან დამარცხებით სასოწარკვეთილმა და გაწარებულმა; ილაჯგაწყვეტილმა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დროულად ვერ დათმო მართვის სადავეები (ბიჭნდა რა რომ მისი პორიზონტის მმართველი ჯერ კიდევ არ დაბადებულა). როგორ მეორდება ისტორია!

ამისათვის კი, ჩემი რწმენით, არსებობს ერთადერთი რეალური გზა: უფრო სწორად მეთოდი, რომლის მიხედვით უნდა გაიმართოს რესპუბლიკის ყოფილი „სახალხო მეურნეობის“ ყველა დარგის (ოთხმოციანი წლების დასასრულს ასეთი ორასამდე იყო) კონფერენცია, სადაც ფარული კენჭისყრით უნდა ჩატარდეს არჩევნები საუკეთესო სპეციალისტების შესარჩევად. სპეციალისტები უნდა შეირჩეს პროფესიონალობის ხარისხის, ორგანიზაციული ნიჭის, ქმედითუნარიანობის, ეროვნული იდეებისადმი ერთგულების, განათლებისა და სხვათა ნიშნით. ვინაიდან კოლეგებმა უკეთ იციან ერთმანეთის ავკარგი და მათ შორის დილეტანტის განდიდება ან მსგავსი რამ გამორიცხულია (მით უფრო ფარული კენჭისყრის დროს), დარგობრივ კონფერენციებზე არჩეული სპეციალისტები რეალურად იქმნებიან დარგის ჭეშმარიტად რჩეული პროფესიონალ-ორგანიზატორები. ორას ასეთ კონფერენციაზე არჩეული პროფესიონალ ორგანიზატორთა ნაკრები გუნდი (600—800 კაცის შემადგენლობით, რომელსაც პირობითად სპეციალისტთა სათათბირო შეიძლება ვუწოდოთ) იქნება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ნაღები, რომელსაც ძალუძს და უნდა შეიმუშაოს კიდეც რესპუბლიკის სამეურნეო მოღვაწეობის სტრატეგია და პოლიტიკა; გნებავთ საქართველოს სამეურნეო კონსტიტუცია. ასეთად ჩვენ გვესახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ეროვნული მეურნეობის დარგობრივი პრიორიტეტების, მათი განვითარების სანგრძლივადიანობის ან რიგითობის ოპტიმალურად განსაზღვრა;

მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულმა და გავლენიანმა ეკონომისტებმაც რომ შემოგვთავაზონ რაიმე ეკონომიკური კონცეფცია, ისიც კი ვერ იქნება სრულყოფილი თუ არ ექნა ქვეყნის სამეურნეო პოტენციალის შესახებ ამომწურავი ინფორმაციული ბანკი, თუ არ ექნა გამოწვლილვით გაანალიზებული პრიორიტეტების დასაბუთება; გამომდინარე ნედლეულის მოპოვებისა და პროდუქციის რეალიზაციის რეალობებიდან, ქვეყნის გეოსტრატეგიული სიტუაციიდან და მრავალი სხვა ნიუანსიდან (ურომლისოდაც ეშმაკიც კი ვერ იტყვის ჯერ სად ან რა ხარისხით უმჯობესია ინვესტიციების გაცემა: ვთქვათ ჭიათურის მარგანეცის მოპოვების აღდგენაზე თუ შავი ზღვის სანაპირო შელფიდან ნავთობპროდუქტების მოპოვების აღორძინებაზე).

ხაზგასმით უნდა ითქვას — საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელის შექმნა სრულიად საქართველოს საქმეა; იგი ვერ გაკეთდება ერთი რომელიმე პარტიის ან ბლოკის (თუნდაც მოქალაქეთა კავშირის) მიერ, როგორადაც არ უნდა აფინანსებდეს ან მხარს უჭერდეს მას ხელისუფლება. უფრო მეტიც, ეს არის მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების და არა მარტო ერთი ან რამდენიმე სამინისტროს (თუნდაც ეკონომიკის ან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს) საქმე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელი უნდა დამუშავდეს შემდეგნაირად. დარგის კონფერენციაზე არჩეული სპეციალისტთა ჯგუფი (საკარაუდოდ 3—4 კაცის შემადგენლობით) უხელმძღვანელებს მის მიერვე შერჩეულ სპეციალისტთა კრებულს, რომელიც 2—3 თვის განმავლობაში შეიმუშავებს დარგის განვითარების მიზნობრივ პროგრამას. ასეთი დარგობრივი პროგრამები, როგორც ითქვა ორასამდე შედგება. უნდა შედგეს აგრეთვე ასამდე რეგიონალური პროგრამა; ცხადია ეს პროგრამები, შედგენილნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მხოლოდ მეტნაკლებად გაითვალისწინებენ ერთმანეთის ინტერესებს (მხოლოდ პროგრამის შემდგენელთა ერუდიციისა და ინტუიციის ფარგლებში). ამდენად ისინი ზუსტნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ პირველი მიახლოებით. და მაინც მათი შექმნა აუცილებელია თუნდაც რესპუბლიკის სამეურნეო პოტენციალის შესახებ ამომწურავი ინფორმაციული ბანკის მისაღებად.

მხოლოდ ამ დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება მოვიწვიოთ ზაზღვარგარეთიდან გამოცდილ სპეციალისტთა გუნდი, რათა მათი ხელმძღვანელობით სპეციალისტთა სათათბირომ მოახდინოს დარგობრივ პროგრამათა სინთეზი (რასაც ალბათ კიდევ სამი-ოთხი თვე დასჭირდება). ამ სინთეზით მიიღება ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელის თავდაპირველი (საწყისი) ვარიანტი.

კონცეპტუალური მოდელის ეს ვარიანტი იქნება ამოსავალი ბაზა დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების ხელმეორედ შექმნისათვის. ოღონდ ამჯერად დარგობრივი პროგრამები შეიქმნება არა მხოლოდ ერუდიციაზე დაყრდნობით, არამედ საერთო რესპუბლიკური ხედვიდან გამომდინარე, ერთმანეთის ინტერესების უფრო სრული გათვალისწინებით და ურთიერშეთანაწყობით. მხოლოდ ასეთნაირად გასწორებული დარგობრივი პროგრამების კონსოლიდირებული სინთეზით მიიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელის საბოლოო ვარიანტი (რასაც ალბათ კიდევ 3—4 თვე დასჭირდება).

ვიმეორებთ, კონცეპტუალური მოდელი აუცილებელია როგორც გზამკვლევი იმ ეკონომიკურ ქაოსში, დღეს რომ ვიმყოფებით. კონცეპტუალური მოდელის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო მართვის რამდენადმე სრულყოფილ ეროვნულ მოდელზე წარმოდგენის შექმნაც კი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ახალი სახელმწიფოს შენება უნდა დავიწყოთ მისი სტრუქტურების (პირველ რიგში კი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების) სრულყოფით. კონცეპტუალური მოდელიდან გამომდინარე უნდა გამოიკვეთოს აგრეთვე ამ სტრუქტურების ფუნქციონირების კონტურებიც. დავძენთ, რომ კონცეპტუალური მოდელი სულაც არ გვესახება როგორც მუდმივად უცვლელი დოგმა; პირიქით, იგი მუდმივად უნდა იხვეწებოდეს დროისა და მოვლენების კვალდაკვალ.

მაშასადამე, ჯერ უნდა მოვიზიდოთ ერის ინტელექტუალური ნაწილის ელიტა და მისი მეშვეობით დავამუშაოთ საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის საფუძვლები; იგი თავის მხრივ, ამოსავალი პლატფორმა გახდება ხელისუფლების მოდელისა თუ ზოგადად პოლიტიკის განმსაზღვრელი მიმართულებათა ჩამოყალიბებისა. როგორც ითქვა, ამისათვის ერთი წელი მაინც არის საჭირო. მანამდე უნდა შეიქმნას დროებითი კოალიციური ხელისუფლება (არა მარტო აღმასრულებელი), როგორც გარდამავალი პერიოდის ხელისუფლება, რომლის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იქნება სწორედ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმის შემუშავება, რომელსაც შემდგომ განუხრელად უნდა გავყეთ პარტიულობისა და შეხედულებების მიუხედავად.

ინფორმაციის მიზნით ავღნიშნავ, რომ ეს საკითხები უფრო დეტალურად არის გაშუქებული ჩემს ადრინდელ სტატიებში: „ქართველი ერი“ № 29, 20. 11. 93 წ. „ივერია ექსპრესი“ № 132 19. 08. 93 წ; „საქართველო“ № 12 28. 03. 92 წ.; „თბილისი“ №106 04.06. 91 წ.

ასეა თუ ისე, თუ გვსურს გადარჩენაზე რაიმე ფიქრიც კი, დღევანდელმა ერისკაცებმა (პოზიცია იქნება ეს თუ ოპოზიცია), უნდა შეძლონ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა, რათა ცივილიზებული გზით შექმნან გარდამავალი პერიოდის დროებითი კოალიციური მთავრობა, რომელიც შემდგომში (ყველა იმ ზოსამზადებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ზემოთ რომ მოგახსენეთ) გზას დაულოცავს ახალი თაობის რჩეულთა გუნდს, რომელსაც ხელწიფება ერის გამთლიანება, მისი შინაგანი ძალის განმტკიცება და დასახული გზით სვლა. დღეს ეს არცერთ პოლიტიკურ პარტიას ან ბლოკს არ ძალუძს. ვიმეორებ, ეს გზა უმტკივნეულო იქნება, თუ დღევანდელი ერისკაცები დროულად გაიხარჯებენ მარადიული კანონების მოქმედების გარდაუვალობას. სულერთია, ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს და რეალობა კორექტირებას მაინც გაუკეთებს ყველა გეგმებს. ამდენად, მე მივმართავ მათ ყველას — ნუ დაღუპავთ საქართველოს, დაულოცეთ გზა მომავალს.

ომარ ჯანელიძე,
საქართველოს გუნების
დაცვის საზოგადოების
გამგეობის თავმჯდომარე

22. 03. 1994 წ.

ღია საფლავები

პირველი გვერდიდან

თავდაცვის გაძლიერებისათვის შემოღებული უნდა იყოს სამხედრო გადასახადი, სადაც ყველა ვალდებული იქნება, იხადოს ეს გადასახადი, თორემ ნაბუსზე მიგდებული კაცი ვერ გამოადგება ფრონტს და საშობლოს.

დღეს კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა ცაგერში (ცაგერა არადუსა და ცხენისწყალ-კოჩარას მოხაზღვრე სოფელია). ცხენისწყლის ფრონტის საგუშაგოდან ოცამდე კაცი ბრუნდებოდა ტრაქტორ „ბელარუსი" მისაბმელით, მას საგუშაგოზე ცაგერადან ახალი ცვლა უნდა ამოეყვანა. ტრაქტორისტმა იქით გადუხვია (გზა შეიმოკლა), სადაც ამას წინათ ჩვენი ტანკი იყო ჩავარდნილი. საუბედუროდ, იმ ადგილის ახლოს ტ[illegible] (საწინააღმდეგო ნაღმი ყოფილა ჩ[illegible]ული და აი იმ ნაღმს გადაუარა [illegible]ქტორმა. აფეთქების შედეგად [illegible] და ოთხი და მძიმედ დაიჭრა [illegible]ეტი კაცი. ახლა ცაგერაში [illegible] მიცვალებული ასვენია [illegible] ერთ ათეულზე მეტი დაჭრილი ებრძვის სიკვდილს. ესეც ერთი დიდი გამოუცდელობის შედეგია.

ახლა ცაგერელების გააფთრება კიდევ უფრო გაორკეცდა არა მარტო აფხაზების, არამედ კოჩარლების მიმართაც. სწორედ კოჩარელებს დაემუქრნენ ისინი, რომ მათი მოქმედების შედეგია, რაც ხდება. ამასობაში კი კოჩარელები არხეინად დადიან ოჩამჩირის ქუჩებში და აფხაზების მიტოვებულ სახლებს იკავებენ, ხოლო მათი მშობლიური კოჩარის დაბრუნებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

7 იანვარი

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დიდი რუდუნებით აღნიშნავს დღევანდელ ქრისტეშობის დღეს. [illegible]ითქმის ორი ათასი წლის წინა[illegible] [illegible]ცოცხრიობას მოეკლინა ხსნის[illegible] [illegible], უფალი, იესო ქრისტე ნაზ[illegible]ელი. დღეს ქრისტიანობას ერ[illegible] [illegible]ილიარდზე მეტი მორწმუნე მ[illegible]კარი ჰყავს და თუ კაცობრიობ[illegible] [illegible]ხნის დალუპვისაგან რამე მიხ[illegible]ობა თუ იდეოლოგია, იხსნის [illegible]ოლოდ ქრისტიანობა, ქრისტეს მცნებების ჭეშმარიტი გათავისება და გაცნობიერება.

შემორჩენილია ადათი ამ დღეს ალიონზე მამლის ჭიშკართან დაკვლისა. გუშინ ღორი უნდა დაგვეკლა, ვიფიქრე, ამასაც ხვალ შოვილევ-მეთქი. გუშინაც პურის მარცვალი უნდა მოგვეხარშა და საშობაო საჭმელი (ჭანტილა) მოგვემზადებინა: მაგრამ ვერსად პურის მარცვალი ვერ ვიშოვეთ და დავრჩით უიმისოდ.

დილაადრიან ავდექით მე და ჩემი მეუღლე. გათენებულიც კი არ იყო, მაგრამ ტატიანამ მაინც მისაყვედურა (ტატიანა რუსი არ გეგონოთ, ერთი გადარეული მეგრელია, როცა ვეკითხები, ვინ დაგარქვა ტატიანა-მეთქი, მამაჩემმაო, ვილაც რუსი ტატიანა ყვარებია და იმიტომო. თუმცა მას მეორე სახელიც ჰქვია — ღვაბა), უკვე დაგეაგეიანდაო, ახლა მამალი უკვე შეჭმული უნდა იყოსო. საქათმეში მეთაური — ორწლიანი მამალი გავძაგრე, მამალმა ისეთი ყვირილი მორთო, სამივე ძაღლი გადამრია, მამალს კისერი მოვუგრიხე ადა ნისკარტზე ხელი მაგრად მოვუჭირე. მან ხმა ჩაკმინდა, ოთახში, სადაც ბადრის ეძინა ჩუმად შევედი და მამალი თავზე სამჯერ შემოვავლე. შემდეგ ჭიშკრისკენ გავეშურე. მამალს ნისკარტში ხელი გავუშვი და ჭიშკრის ბოძზე თავი მივაკრიბინე. არ გარყვნილა ის შეჩვენებული. თურმე ჩემი ხელის მოჭერით თითქმის მოგუდულიყო და სიცოცხლის ნასახი აღარ ეტყობოდა. თავი ნაგახით წავაგდებინე.

საუზმე უკვე მზად გვქონდა, ბახვაც (მოგაგონებთ, რომ იგი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა) მოვიდა და საუბარს შევყევით.

ბახვა გუშინ ოჩამჩირის შტაბში იყო და იქ ურჩიეს, რომ ჩვენი სოფლის მებრძოლებმა დივერსიები მოაწყვეს მეზობელ აფხაზურ სოფლებშიო და ასეთ მრჩეველებად ასახელებდა ვიღაცის გვარებს. ბახვა იცავდა თავის „დოქტრინას" — ეს დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისაა. „სოფელი იზრუნებს მხოლოდ თავდაცვაზე და ეცდება მტერი არ გაუშვას ოჩამჩირესაკენ". ეს თავისთავად შეტევაზე მეტს ნიშნავს, ხოლო რაც შეეხება სოფელზე შეტევას, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მეზობლებად მომავალში და ერთმანეთის მიმართ შეტევები არ გამოგვადგებაო, უთქვამს ბახვას. ჩამოსულები კი დაეინებით მოითხოვენ ჩვენგან შეტევას და კიდევ შეტევას. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ არადუს, ისე როგორც ცაგერას და სხვა სოფლებს, არა ჰყავთ ისე მოშზადებული მეომრები და არა აქვთ იმდენი ტექნიკა, რომ შეტევა განახორციელონ. ჩვენ კი არა, გია ყარყარაშვილს უჭირს შეტევა და წინასვლა და ჩვენ რას გავხდებით. მერე ვინ აგებს პასუხს? ყველა ხელს დაიბანს. ჩემი ბრალი არააო. ოჩამჩირის შტაბიდან არავინ არ ამოსულა პიკეტების შესამოწმებლად. მე კი ვიცი, რომ საგუშაგოები ძალზე პრიმიტიული და მოუხერხებელია ბრძოლისათვის, აი აქ გვინდა დახმარება. ჯერჯერობით პოზიციები უცვლელი რჩება, სამი მხრიდან მტრისაგან შემორტყმული ჩვენი „სოლი" კი დიდ საშიშროებაშია. იხიც ვთქვით, რომ სოფლიდან ბევრი უქნარა ახალგაზრდაა წასული. არიან ისეთებიც, რომლებიც თითსაც კი არ ანძრევენ სოფლის დასაცავად. მე არ ვიცი, თუ რას მოიმოქმედებს სოფელი მათ მიმართ თუ მშვიდობა გვეღირსა. ახლა ისეთი დროა, რომ ნამუსზე შეგდება დიდად ვერ გვარგებს. მე ბახვას გადაჭრით ვეუბნები: პარლამენტის გადაწყვეტილებით, ოჩამჩირეში სამხედრო წესები გამოცხადდა და აწი თქვენზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებთ-მეთქი.

მოპარული თავისუფლება!

მესამე გვერდიდან

წესს რომელიც დაარღვევს, იმას კი განსამართლება, განსჯა უნდა და არა ყვირილი: „მეზობლები ვართ, მეზობლებიო!" ვერაფერი ერის აღმზრდელი აზრი გახლავთ.... ამ ეაუბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდნენ, რომ ერი შეერთებულად გენიოსია, იმას შეიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი" („ცოტა რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა").

„არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდესმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით, „სიკვდილი ან სიცოცხლეო" (ე. ი. თავისუფლება)?! — იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ, აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მჭულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა.

... და რა არის თავისუფლება რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა" („რა არის თავისუფლება?").

—რაკი მომავლის იმედზე ვამბობთ, ისიც აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ერი არასოდეს უიმედობას არ მიეცემა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება და მომავლის იმედს არ ჰკარგავს. უიმედობა მომავალზე ეს ჩვენი ეგრეთწოდებული ერთგვარი ინტელიგენციის ოცნების ცუღლუტობაა და სხვა არარა, ეს უსაქმურთა და უკეთურთა საქმეა. იცნობს ამის მთქმელი ერს? იცის მისი სულისა და გულის ვითარება? არაფერი ეს ამ მომავლის იმედის მოწამლელთ არ იციან, იმიტომ რომ თვითონ არარფრის გაკეთება, არაფერის უნარი არა აქვთ, არაფერი ცხოვრებისა არ ესმით"... („სასალწლო ფიქრები").

„დიაღ, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე და იგი იწვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მანამდე, სანამ მზე ანათებს დღით და ღამით მთვარე" („ზოგი რამ ფიქრებიდან").

„ყველა ხილულმა და უხილავმა შავმა ძალამ, როგორც გაზაფხულზე სითბოს სუნზე გველებმა, თავები წამოყაყავ, იცქირება ამაყად, მამაცად... არ იციან უბადრუკთ, რომ მალე დადგება ისევ ის დრო, როცა მთელის ერის პირით გაიგონებენ ძლიერს, შეუწყარებელს მსჯავრს: „კათაკმეველნო, განვედით!.." („დიდ-მარხვა").

„ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბატრიონი" წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა სარეკრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ეკაკ, თუ ღმერთი გწამ. ნუ დამიმალავ, სწორედ თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა ჰგულისხმობ „ბატრიონში", რომ ამბობ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?".

— იქნება ეგულისხმობდე, — ეუპასუხე. — „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო", დაიკონა ფშაველმა და თხუთმეტი ათასი მჭერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმის რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდენ" („კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი").

„განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათმყოფელთა წინაშე? არა, დიაღ, არა. ეროვნული ეს ამათთვის გაცვეთილი ტერმინი ტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გეხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, უფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა ოცი ან ორმოცი" („მცირე შენიშვნა").

„დიდო მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს. ვლოცულობთ და ვეუდრებით ღმერთს გვეშველოს მზედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომას მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისა, ამინ!" („დიდ-მარხვა").

ამოკრიფა და შეადგინა
ელდარ ჯუმბურიძემ
სსფ. ფევრი. ქ. რუსთავი.

P. S. შეუძლებელია, კაცს, რომელმაც დაწერა „მთანი მალალნი", „დამსტყვე, ცაო", „მთამ სრულიად ხხვა ხთქვა", „ტყე ტიროდა", „ხტუმარ?მასპინძელი", „შვლის ნუკრის ნაამობი", „ბახტრიონი", „ია"... ხმელ წიფელზედ მეტად არ უყვარდეს ის ხალხი, რომელიც ზემოთ მკაცრად ჰყავს გაკრიტიკებული.

გთხოვთ, და უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, თქვენთ ვისაც, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ხინდიხის ქენჯნა შეგიპყრობთ ყური მიუგდეთ ჩვენზედ დიდბუნებოვან ადამიანს და ეზიარეთ მის აზრებს, მანამ კიდევ დროა, სანამ ერი იტყოდეს: „კათაკმეველნო, განვედით!"

ინფორმაციას თქვენი საქმიანობის შესახებ მიიღებს სრულიად საქართველო

გთავაზობთ ყველაზე იაფად ნებისმიერი სარეკლამო განცხადების განთავსებას ჩვენს გაზეთში.

ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. № 5.

ტელეფონები:
93-18-41;
93-19-99.

ფირმა „იმერეთი"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „იმერეთი" იღებს სავალუტო ანაბრებს თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში:

1 თვე — 17-20 %
3 თვე — 20-26 % (თვეში)
6 თვე — 30-35 % (თვეში)
1 წელი — 40-45 % (თვეში)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „იმერეთის" სპეციალისტთა მიერ მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლების, საერთაშორისო მიზნების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ადგილობრივი ჯობრციული გამოცდილება, ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიანი თანამშრომლობა მაქსიმალურ გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენი ფული საიმედოდ იქნება დამანდემული.

ჩვენთან თანამშრომლობა აუცილებელი წარმატებაა!

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, მეორე სართული, ოთახი 26, ტელ.: 95-72—07

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

სარედაქციო ხაბჭო
გელა ებანოიძე
ირმა ლომაური
ხათუნა კვესელავა
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447
ფასი
40.000 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ.:
99-85-79, 93-83-07